# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 23 ივნისი 2005 №140 (2463) ფასი 50 თეთრი


# ბაკურიანი 2014




ბადრი პატარკაციშვილი, სეოკ-ის პრეზიდენტი:

— ბაკურიანის შესასწავლად უცხოელ ექსპერტთა 14 ჯგუფი ჩამოვიყვანეთ. მათი დასკვნით ბაკურიანი ის ადგილია, სადაც ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩატარდება.

მეცამეტე გვერდი

## ამერიკული სამიტი გერმანიაში

გერმანია — ბრაზილია
მექსიკა — არგენტინა



AFP



## ნემსაძე დილას არ მოარგეს

ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანთან

3



## ადრიანო გალიანი: კალაძე მილანში რჩება

4

ახალგაზრდული საერთაშორისო სპორტული თამაშები

МЕЖДУНАРОДНЫЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ ЮНИОРОВ

## კლასიკოსთა კლასიკური გაკვეთილები

12

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

# მექსიკამ ისტორია გააოცა

B ჯგუფი. III ტური

**საბერძნეთი 0:0 მექსიკა**

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, ვინტრა, კაპსისი (ტავლარიდისი 74), ფისასი, გუმასი, ბასინასი, ზაგორაკისი, იანაკოპულოსი, ამანატიდისი (გეკასი 46), ხარისტიასი, ვრიზასი (პაპადოპულოსი 61)
**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი
**მექსიკა:** სანჩესი, ოსორიო, სალსიდო, პერესი, ლოსანო (მარკესი 73), ხ. როდრიგესი, რ. მორალესი, პინედა, მ. მენდესი, პარდო (მედინა 46), ფონსეკა (ტორადო 61)
**მწვრთნელი:** რიკარდო ლავოლპე
**გაფრთხილება:** ამანატიდისი, პარდო, როდრიგესი, ტავლარიდისი
**მსაჯი:** კარლოს ამარილია (პარაგვაი)
40 000 მაყურებელი

**ბერძნებთან** შეხვედრისთვის მექსიკელთა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ შემადგენლობა ოთხი კაცით გადაახალისა, თუმცა ამ ოთხიდან ორი ცვლილება იძულებითი გახლდათ. კერძოდ რა იყო და როგორ, ახლა ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ლავოლპემ მცველები არონ გალინდო და სალვადორ კარმონა უდისციპლინობის გამო ნაკრების ბანაკიდან დაითხოვა. საინტერესოა, რომ 29 წლის კარმონას მსოფლიოს ორ ჩემპიონატში აქვს მონაწილეობა მიღებული, გალინდო კი 23 წლისაა და კონფედერაციათა თასის პირველ ორ შეხვედრაში მოედანზე რაფაელ მარკესის შემცვლელად შევიდა. და კიდევ, ლავოლპემ თითო გოლით თავგამოჩენილები, ზინია და ხარედ ბოგრეტი დაასვენა. მათ ნაცვლად მწვანე მაისურით თამაშობდნენ მცველი მარიო მენდესი და ნახევარმცველები ხუან პაბლო როდრიგესი, ხაიმე ლოსანო და ლუის პერესი.

რაც შეეხება ბერძნების თავკაც ოტო რეჰაგელს, მან იაპონიასთან 0:1 დამარცხებულ შემადგენლობაში ხუთი მოთამაშე შეცვალა. ევროპის ჩემპიონთა წუხანდელი მიზანი ერთი იყო, გერმანიიდან გასასვლელი კარის გაჯახუნება.

მაგრამ კარი არ გაჯახუნებულა, რადგან 0:0 სულაც არ არის კარის ჯახუნი. სამაგიეროდ — თუ ეს ევროპის ჩემპიონისთვის მიღწევაა — საბერძნეთმა ღირსეულად ითამაშა გუნდთან, რომელმაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თვით ბრაზილიას მოუგო და საერთოდაც აგერ უკვე 20 თამაშია, წაგება რა არის, არ იცის. ეს შედეგი მექსიკის საფეხბურთო ისტორიაში სარეკორდოა. და კიდევ ერთი, რითაც ბერძნებს შეუძლიათ იამაყონ — წუხანდელი თამაშის საუკეთესო ფეხბურთელად მექსიკელების მეკარე, 32 წლის ოსვალდო სანჩესი დაასახელეს.

ჩავხედოთ შეხვედრის სტატისტიკურ მონაცემებს: კარში, სწორად და აცილებით ერთად, უფრო მეტჯერ სამხრეთამერიკელებმა დაარტყეს — 17:13. ცალ-ცალკე აღებულ ზუსტ და უზუსტო დარტყმებშიც მექსიკამ აჯობა ევროპის ჩემპიონს, აი, დაჯარიმებით კი მეტჯერ სამფეროვანი გუნდი დაჯარიმდა, 17:14.

საგულისხმო კიდევ ის არის, რომ ბერძნებმა შეჯიბრება გატანილი გოლის გარეშე დატოვეს, თუმცა ბოლო შეხვედრაში, როგორც მათ, ასევე მექსიკელებმა, საკმაოდ ბევრი და დაჟინებით უტიეს მოწინააღმდეგის კარს.

შეხვედრის ყველაზე დრამატული მომენტი კი მეშვიდე წუთზე გახლდათ, როდესაც მატჩის გმირმა ოსვალდო სანჩესმა გასაოცები წყვილი მოგერიება მოახერხა ანუ ერთ ეპიზოდში ზედიზედ ორჯერ მოიგერია მოწინააღმდეგის დარტყმული. ორივე დარტყმული ზისის ვრიზასისა იყო. პირველად მექსიკელმა მეკარემ ბურთს ხელი აჰკრა, ოღონდ ხარიხას მოარტყა, ასხლეტილი კი ისევ ვრიზასს ჩაუვარდა. ბერძნის ხელახალი დარტყმული მცველისგან აიჭრა და მუხანათურად წავიდა კიდეც კარისკენ, მაგრამ გოლკიპერმა რეაქციას რეაქცია მიაყოლა და კარი იხსნა.


AFP ფოტოქრონიკიდან

ოსვალდო სანჩესი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს

საბოლოოდ, მექსიკელები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ და ახლა, კვირას, ჰანოვერში არგენტინელებს შეხვდებიან.

**პაპუნა ძედია**

# ბრაზილია ზიკოს გადაურჩა

**იაპონია 2:2 ბრაზილია**

0:1 რობინიო (10), 1:1 ნაკამურა (27), 1:2 რონალდინიო (32), 2:2 ოგურო (88)
**იაპონია:** კავაგუჩი, ტანაკა, მიამოტო, კაჯი, სანტოსი, ოგასავარა (ჯ. ნაკატა 46), ფუკუნიში, ჰ. ნაკატა, ნაკამურა, ტამადა (ოგურო 46), იანაგისავა (სუძუკი 73)
**მწვრთნელი:** ზიკო
**ბრაზილია:** მარკოსი, სისინიო, ლუსიო, ჟუანი, ლეო, კაკა (რენატო 62), ჟილბერტო სილვა, ზე რობერტო (ედუ 78), რონალდინიო, ადრიანო (ბაპტისტა 62), რობინიო
**მწვრთნელი:** კარლოს ალბერტო პარეირა
**გაფრთხილება:** სანტოსი, ჰ. ნაკატა, კაჯი, სისინიო, ზე რობერტო
**მსაჯი:** მურად დაამი (ტუნისი)
45 000 მაყურებელი

**მატჩის** დასრულებამდე ორიოდ წუთი რჩებოდა, მასაში ოგურომ ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი რომ დაჰკრა, მაგრამ ბრაზილიელთა მეკარე მარკოსმა პენტაკამპეონები სირცხვილისგან იხსნა. ოგუროს, ვინაც 88-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მარკოსისთვის რომ ეჯობნა, ბრაზილია ჯგუფში ჩარჩებოდა და ტურნირის მასპინძელ გერმანიას ნახევარფინალში იაპონიასთან მოუწევდა საქმის დაჭერა.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა მატჩი ისე დაიწყეს, მათ გამარჯვებაში ძნელად რომ ვინმეს შეეტანა ეჭვი.


AFP ფოტოქრონიკიდან

გუშინ კარში ოთხჯერ ბურთი და ერთხელ ბრაზილიის გულშემატკივარი შევარდა

რონალდინიომ და რობინიომ მახვილგონივრული კომბინაციებით თავგზა აუბნიეს იაპონელ მცველებს და მე-10 წუთზე ამ ორი ჯეელის მცდელობა კავაგუჩის კარში გატანილი გოლით დასრულდა. აზიელთა საჯარიმოში შეჭრილმა რონალდინიომ პასი არ დაამადლა ჭაბუკ თანაგუნდელს და ჯერ კიდევ სანტოსელმა ფორვარდმა თავისიანები მოხდენილი დარტყმით დააწინაურა. ბრაზილიელები შეტევას განაგრძობდნენ და ბევრი მომენტიც შექმნეს, იმავ რობინიოს და კაკას გატანაც მართებდათ, მაგრამ მათი დარტყმები აზიელთა კავაგუჩის იოლი ლუკმა ხდებოდა. ამასობაში ზიკოს შეგირდები გონს მოეგნენ და მარკოსის კარისკენაც გაიწიეს. გამორჩეულად აქტიური იაპონელთა პლეიმეიკერი შუნსუკე ნაკამურა იყო. ნაკამურას მონდომება დაუფასდა და 27-ე წუთზე ისეთი გოლი გაიტანა, ბრაზილიელ ვარსკვლავთა უმეტესობა მოაწერდა ხელს — იაპონელმა ოცდაათიოდე მეტრიდან ისე დაარტყა, ლამის კარის ბადე გახია.

გოლით გახარება აზიელებს დიდხანს არ დასცალდათ. ოთხიოდ წუთში რობინიომ რონალდინიოს ვალი დაუბრუნა — ისეთი პასი მიართვა, ბარსელონელს გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე იაპონელებს გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ მარკოსთან პირისპირ შეჭრილმა იანაგისავამ მეკარეს ვერ აჯობა და საგოლე შანსი ქარს გაატანა. ეს იყო და, ბრაზილიამ კონტრშეტევით უპასუხა, რონალდინიოს პასს კაკა შეეგება, მილანელმა ბურთს ერთი შეხებით დაჰკრა, მაგრამ ძელს გაარტყა. აზიელთა მწვრთნელ ზიკოს ამ დროს მოედანზე მასაში ოგურო შეუყვანა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ბრაზილიელ მცველებს და თავშიც გიოხარით, გამთანაბრებელი გოლიც გაიტანა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ გოლშიც ლომის წილი ნაკამურას უდევს. ჰიდეტოში ნაკატას წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმოს დარტყმა სწორედ ნაკამურამ ითავა, კედელს შემოვლებული ბურთი ძელს მოხვდა და იქვე ჩასაფრებულ ოგუროს მიუვიდა, იაპონელმა ფორვარდმა ბედისა და ძელის საჩუქარი შეირგო და მარკოსს აუღებელი დაურტყა. მერე კი ოგუროს სენსაციის გამოცხობის შანსიც მიეცა, თუმც კიოლნის სტადიონზე შეკრებილ გერმანელ მაყურებელთა სამწუხაროდ, მატჩი უსენსაციოდ დასრულდა. გერმანელებს თავიანთი ნაკრების სანახევარფინალო მეტოქედ იაპონია სურდათ.

**სოსო ქოტორეიშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| იაპონია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

**ნახევარფინალი: 25-26 ივნისი**

გერმანია — ბრაზილია
მექსიკა — არგენტინა

## მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ჰოლანდია. 10 ივნისი – 2 ივლისი

მერვედფინალი

კოლუმბია 1:2 *არგენტინა*
უკრაინა 0:1 *ნიგერია*
*ჰოლანდია* 3:0 ჩილე
*ესპანეთი* 3:0 თურქეთი

## ამხანაგური მატჩი

ჩინეთი — კოსტა რიკა *გადაიდო*

## რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

შინიკი 1:1 ცსკა
ლოკომოტივი 1:0 კრილია

## ნორვეგია

თასის მეთექვსმეტედფინალი

ვარდ ჰაუგესუნდი 0:3 *ვიკინგი*

## ფინეთი

თასის პირველი ეტაპი

ინტერი 0:1 *მიუკა*

## შვედეთი

ალსვენსკა
XI ტური

ჰეკენი 3:1 გიოტებორგი

სუპერეტა. XII ტური

ფრიოლუნდა 3:1 იოსტერსი
ფალკენბერგი 0:1 აიკ
მიალბი 0:2 ლიუნგსკილე
იორებრო 0:0 ვასბი
ვასტერასი 2:2 ტრელებორგი
ბოდენსი 0:0 ბრომაპოიკარნა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# გიორგი ნემსაძე დილას არ მოარგეს

## არც რუსთავი, არც გორი: ახალი კლუბი!



გორის „დილა“ კვლავ უპატრონოდაა. გუშინ ვწერდით, გიორგი ნემსაძე შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელს უნდა შეხვდეს და პირობებზე უნდა მოელაპარაკოსო, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

რატომ ჩაიშალა მოლაპარაკება და რას აპირებს გიორგი ნემსაძე, უფრო დაწვრილებით თავად საქართველოს ნაკრების ექსკაპიტნისგან გავიგეთ...

— ძალიან გვინდოდა, „დილა“ დაგვეფინანსებინა, მაგრამ ამ საქმეზე ხელი ავიღეთ. იმედი გვქონდა, რომ რაიონის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებოდა, თუმცა მათი პირობები ჩვენთვის მიუღებელია.

— კერძოდ, რა პირობები შემოგთავაზათ მიხეილ ქარელმა?

— ისეთი, რომელსაც ჩვენ ვერ გავწვდებოდით. წარმოიდგინეთ, მარტო კლუბის ყიდვა იმხელა თანხა გვიჯდებოდა, რომ ზომიერებას ძალიან სცილდებოდა. ამას გარდა, გუნდი თავიდან უნდა დაკომპლექტდეს, ფეხბურთელების შესაძენად ხომ ფულია საჭირო. „დილა“ თითქმის მთლიანად დაშლილია, ოთხიხუთი მოთამაშეღაა გუნდში, დანარჩენები კი წავიდნენ.

— თქვენი მისვლის შემდეგ ეს ფეხბურთელები ეგებ უკან მობრუნებულიყვნენ...

— შეიძლება, მაგრამ თუ საქმეს აკეთებ, კარგად უნდა გააკეთო. რაიონის ხელმძღვანელობის პირობებიდან გამომდინარე, ჩვენ ნულიდან უნდა დაგვეწყო მუშაობა. ნულიც არაა, სადღაც უფრო ქვემოდან... საერთოდ, „დილაში“ ყოველთვის ადგილობრივი ფეხბურთელები შეადგენდნენ ძირითად ბირთვს, იქ არიან პერსპექტიული ახალგაზრდები, მაგრამ დღესდღეობით პირიქით, სხვა ქალაქებიდან უნდა მიგვეწვია მოთამაშეები. გარდა ამისა, სტადიონია გასაკეთებელი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთად დაგროვდა და ამდენს ვერ გავწვდებოდით.

— ანუ „დილა“ გამოირიცხა და ისევ „რუსთავს“ ხომ არ დაუბრუნდებით?

— არა, ამაზე არ ვფიქრობთ. რაც მე მაქვს წარმოდგენილი, ასეთი სახით არც „რუსთავშია“ პირობები.

— არც სხვა რომელიმე ალტერნატიული ვარიანტი გაქვთ?

— ჯერ კარგად უნდა ავწონდავწონოთ. „დილას“ დაფინანსება იმიტომ გვინდოდა, რომ გუნდს გარკვეული ტრადიციები აქვს, ახლა კი... შესაძლოა, ახალი კლუბი შევქმნათ, რეგიონალლიგიდან დავიწყოთ და ეტაპ-ეტაპ წავიდეთ წინ. ჯერჯერობით ეს მხოლოდ იდეაა, მეტს ვერაფერს ვიტყვი.

*...რა გამოდის? „დილას“ უმაღლესლიგელობაც ძალიან საეჭვოა. კლუბმა 25 ივნისს საბოლოოდ უნდა შეატყობინოს ფედერაციას, შეძლებს თუ არა უმაღლესში თამაშს. ისე, ჩანს, შიდა ქართლს მხოლოდ ერთი კლუბი, „ცხინვალი“ ეყოლება ზედა ეშელონში, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინ დაიკავებს გორელთა ადგილს, თუ ამ გუნდს პატრონი არ გამოუჩნდა? ფინანსურად არც თბილისის „სპარტაკს“ ულხინს და ესე იგი, ორი ვაკანტური ადგილი რჩება. დღევანდელი ვითარებით, მგონი, ლანჩხუთის „გურიასა“ და „სენაკურს“ ეხსნება გზა...*

**ილია ნანობაშვილი**

# ლოკომოტივი სტურუას შემცვლელს ირჩევს

**თბილისის „ლოკომოტივი“** დღეს დაბრუნდება ლიკანური შეკრებიდან და მზადების მეორე ეტაპი თბილისში ექნება. გუნდში დიდი ცვლილებები არ მომხდარა — ერთადერთი, ნოდარ აკობიას გუნდს ფოთის „კოლხეთიდან“ მეკარე გიზო შენგელია შეემატა, თუმც მისი გარკინიგზელება ჯერ არ გადაწყვეტილა. შეგახსენებთ, ზვიად სტურუას „დინამოში“ გადასვლის შემდეგ „ლოკომოტივმა“ სასწრაფოდ „დინამოდანვე“ ახალგაზრდა ბექა შეყრილაძე დაიმატა.

რკინიგზელებს „თბილისის“ მარცხენა მცველის — გიორგი ფოფხაძის გადაყვანაც სურდათ, თუმც ეს ტრანსფერი საბოლოოდ ჩაიშალა.

**ლუკა თალაკვაძე**

# ის ტორპედო აღარაა, მაგრამ იქნება

## ოთარ გაბელია: ყველა ხაზში გავძლიერდებით



კობა შალამბერიძე



მიხეილ კაკალაძე



ლაშა ჭელიძე

**ქუთაისის „ტორპედო“** გუშინ შეიკრიბა და საღორიას ბაზაზე ივარჯიშა, თუმცა ეს ის „ტორპედო“ არაა, გასულ სეზონში ჩემპიონობისთვის რომ იბრძოდა. ქუთაისში ჩასულ მწვრთნელ ოთარ გაბელიას მეტწილად ახალგაზრდები დახვდნენ, ანუ ის ფეხბურთელები, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდნენ. ასევე ივარჯიშეს „ტორპედოს“ ფარმ-კლუბის მოთამაშეებმა.

დავით ბოლქვაძე, ალექსანდრე კოშკაძე, მირზა მერლანი, თემურ რაქვიაშვილი, დავით ბაქრაძე, მიხეილ სოსელია, გიორგი მემარნიშვილი — აი, იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც გუშინ შეკრებაზე არ იყვნენ. სამაგიეროდ, გუნდშია დაცვის ლიდერი დავით გამეზარდაშვილი. მან გვითხრა, ჯერ არ ვიცი, დავრჩები თუ არა გუნდში, რაღაც წინადადებებს ველი: „უფრო ისე ჩანს, უეფას თასზე „ტორპედოში“ ვითამაშებ, მერე კი, იმედია, ჩემი რეალური მსურველი გამოჩნდება. თბილისის „დინამო“ არ შემხმიანებია.“

14 ივლისს ქუთათურებს უკვე უეფას თასის მატჩი ელით და, ცხადია, გუნდს სასწრაფოდ დაკომპლექტება სჭირდება. ერთადერთი ახალი სახე თბილისის „დინამოდან“ წასული მცველი ლაშა ჭელიძეა, რომელმაც გუშინ „ტორპედოსთან“ ივარჯიშა და უეფას თასზეც ითამაშებს.

ოთარ გაბელიამ გვითხრა, ყველა პოზიციაზე დავიმატებთ ფეხბურთელებს და ვეცდებით, ევროთასზე ღირსეულად ვითამაშოთო.

„მიხეილ კაკალაძეზე მიდის ლაპარაკი, მაგრამ დანამდვილებით ვერ გეტყვით, გადმოვა თუ არა იგი ჩვენთან. ჩვენ გვყავს რევაზ ჯიქია, რომელიც თავდასხმაში დიდი ძალაა. ხვალ-ზეგ „დინამო 2“-დან ნახევარმცველი კობა შალამბერიძეც შემოგვიერთდება. ის, ვინც დღეს არ ივარჯიშა, იმას არ ნიშნავს, რომ „ტორპედოდან“ საბოლოოდ წავიდა. ალბათ ჩვენთან დარჩებიან მიხეილ სოსელია და გიგლა ახალაია“.

უეფას თასზე თამაში კარგია, მაგრამ „ტორპედოს“ ფინანსური მდგომარეობა სტაბილურისგან შორსაა. მოგეხსენებათ, კლუბის ანგარიში დაყადაღებულია და თუ სახელმწიფო ქუთათურებს ფულის გადახდას დაავალებს, „ტორპედოს“ პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე კლუბის დატოვებას აპირებს — სხვისი ვალები ჩემი გადასახდელი არააო.

იმედია, იმერლებს მსგავსი არაფერი დაემუქრებათ — თუ არადა, რა ვუთხრათ ისეთ 16-გუნდიან ჩემპიონატს, თუ ქუთაისს გუნდი არ ეყოლება...

**ილია ნანობაშვილი**

# აბა, ახალი ბორჯომი

**„ბორჯომი“** პირველად გადავიდა უმაღლეს ლიგაში და, რა თქმა უნდა, სადებიუტო სეზონში რიხიანად თამაში სურს. კლუბი ფინანსურად მოფერიანებულია, რაც იმის გარანტია ჩანს, რომ დაუძლურებული გუნდების ფონზე ჩემპიონატის აუტსაიდერი არ იქნება. მოკლედ, „ბორჯომი“ თითქმის მთლიანად იცვლება. თავად განსაჯეთ, გასული სეზონის შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი დარჩა: დავით ლეკიშვილი, ზვიად კრავეიშვილი, პაატა გვირჯიშვილი და იური გაბისკირია.

მწვრთნელ სოსო ფრუიძეს ყველაზე ასაკოვანი გუნდი ჰყავდა პირველ ლიგაში, ახლა კი გადახალისების დრო მოვიდა. „ბორჯომი“ ძალიან ბევრ ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას, მათ შორის, „თბილისის“ ნახევარმცველებთან — მიხეილ მესხთან და რევაზ გეწაძესთან. ქართლელები დღეს იწყებენ ვარჯიშს თბილისში.

რაც შეეხება ბორჯომში სტადიონის რეკონსტრუქციას, საქმე დაძრული კია, მაგრამ მოესწრება თუ არა სამუშაოების დასრულება სეზონის დაწყებამდე, ზუსტად არავინ იცის.

**ილია ნანობაშვილი**

# კახური რეფორმები

## ქემოკლიძე თელავიდან დინამოს ხედავს

**თელავის „კახეთის“** უმაღლეს ლიგაში თამაში თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. ჰოდა, გუნდის თავკაცმა ოთარ კორღალიძემ გუშინ გვითხრა, ჩვეულებრივი რეჟიმით ვემზადებით და გაძლიერებას ვაპირებთო.

ახლა მათზე, ვინც უკვე „კახეთშია“: „ლოკომოტივის“ ყოფილი თავდამსხმელი გაგა მძინარიშვილი და „დინამო 2“-ის ნახევარმცველი გიორგი კვიტაიშვილი.

კორღალიძის თქმით, გუნდი ორ-სამ ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას, მათ შორის „თბილისის“ მცველ ბესიკ მიქიაშვილთან. როგორც შევიტყვეთ, თელავში ქუთაისის „ტორპედოს“ მცველ თემურ რაქვიაშვილის გადაყვანაზეცაა ლაპარაკი.

სხვათა შორის, თელავში ვარჯიშობს „თბილისიდან“ წასული რევაზ ქემოკლიძეც. ძალიან გასაკვირი კია ქემოკლიძის „კახეთში“ გამოჩენა, მას ხომ გაცილებით უკეთესი ვარიანტები აქვს.

რეზოს გუშინვე დავუკავშირდით და აი რა გვითხრა: „წესით, ორ-სამ დღეში ზუსტად უნდა ვიცოდე, სად გავაგრძელებ კარიერას. არაა გამორიცხული, „დინამოში“ გადავიდე“.

**ილია ნანობაშვილი**



რევაზ ქემოკლიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ადრიანო გალიანი: კალაძე მილანში რჩება

## ქართველი მცველის ინგლისური ტრანსფერი ჩაიშალა






„კახა კალაძე „მილანში" რჩება" — ეს სიტყვები იტალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ პოპულარულ „კორიერე დელო სერას" გუშინ უთხრა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „ჩელსიმ" ესპანური „ბილბაოს" მარცხენა მცველი ასიერ დელ ორნო გუშინ ოფიციალურად გადაიყვანა, შეგვიძლია, კალაძის ტრანსფერი ჩაშლილად ჩავთვალოთ.

—„ჩელსიში" არც ანდრეი შევჩენკო გადავა და არც კახა კალაძე. ლონდონელებთან მოლაპარაკებები კი გვქონდა, მაგრამ საბოლოოდ ასე გადავწყვიტეთ: კალაძე „მილანში" ითამაშებს" — მოკლედ მოჭრა გალიანიმ და ამით თითქმის ორთვიან ვაჭრობას წერტილი დაუსვა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანს „მილანთან" 2006 წლამდე აქვს კონტრაქტი, თუმც მალე შეიძლება ახალი მოლაპარაკება დაიწყოს ხელშეკრულების გახანგრძლივების თაობაზე.

ამგვარად, კალაძე, სულ მცირე, ერთი წლით ისევ მილანელია.

**ბახა ზალამბერიძე**

# ის სპორტინგი შარშან იყო...

## ბურდულს პორტუგალიელებთან ფედერაცია დაეხმარება

საქართველოს ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" ნახევარმცველ ლადო ბურდულით ლისაბონის „სპორტინგი" დაინტერესდაო, გავრცელდა ხმა, მაგრამ რამდენად სერიოზულია ეს ცნობა, ვერ გეტყვით. თავად ფეხბურთელმა ამის შესახებ არაფერი იცის: „მე არავინ დამკავშირებია. ვიცი, რომ როცა თბილისის „დინამოში" ვთამაშობდი, მაშინ უნდოდა „სპორტინგს" ჩემი შეძენა, მაგრამ კლუბები ფასზე ვერ შეთანხმდნენ. შესაძლოა, პორტუგალიელები ახლა ისევ დაინტერესდნენ ჩემით, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ჭორი იყოს და მეტი არაფერი. ახლახან დავუკავშირდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და შემპირდნენ, გავარკვევთ, ეს ამბავი რამდენად სერიოზულიაო. ისე კი, „ალანიასთან" სამწლიანი კონტრაქტი მაქვს" — განაცხადა ბურდულმა.



შეგახსენებთ, რომ პორტუგალიაში ქართველები ადრეც თამაშობდნენ — ზაზა ზირაქიშვილი და გოჩა ქოქოშვილი. იქნება ლადო ბურდული მესამე?

**ბახა ზალამბერიძე**


**ს.კ. „დინამო თბილისი"-ს საფეხბურთო აკადემიის განცხადება**

ს.კ. „დინამო თბილისი" აწყობს 1987-1991 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა შერჩევას 25 ივნისიდან 30 ივნისამდე.

ყოველ დღე ჩატარდება საცდელი მატჩები, რომლებსაც დააკვირდებიან „დინამოს" მწვრთნელები და სელექციონერები. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი მიწვეულ იქნებიან კლუბის ახალგაზრდულ გუნდებში.

1987-88-89 წ.წ. დაბადებულნი უნდა გამოცხადდნენ 09.30 სთ-ზე.

1990-91 წ.წ. დაბადებულები უნდა გამოცხადდნენ 17.00 სთ-ზე.

სინჯებში მონაწილეობა უფასოა.

მისამართი: „სინათლის" სტადიონი (კონიაკის დასახლება, ავჭალა).

საკონტაქტო ტელეფონები: 53-20-76, 53-20-68, 52-34-59.


*ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მიმდინარე შესარჩევ ციკლში ადრევე დაკარგა და 3 ივნისს ალბანეთთან ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა — გოჩა ტყებუჩავამ 21-წლამდელთა ნაკრები კიდევ უფრო გააახალგაზრდავა და ალბანეთთან ამან გაამართლა — ჩვენებმა სტუმრად 1:0 მოიგეს...*



# ტყებუჩავამ ახალკაცს ფეხბურთელები გააცნო

## ვეძებთ ჯანიან ჯეელებს

„შევხედე ცხრილს და თავისებური მესიჯი მივიღე — ვითარებამ მიკარნახა ასეთი ნაბიჯის გადადგმა" — ასე განმარტავს თავის გადაწყვეტილებას 21-წლამდელთა დამრიგებელი გოჩა ტყებუჩავა, ვინც გუნდს ფაქტობრივად უკვე მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის ამზადებს და ნაკრებში ამიტომაც უხმო 1985 წელს დაბადებულ და უფრო უმცროს ფეხბურთელებს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მიზანი მაინც ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელის მომზადებაა. „გოგიტა გაგუას გარდა ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდულიდან კახა ალადაშვილიც მიიწვიეს. რაც შეეხება ჯაბა კანკავას, ვფიქრობ, მან ჯერ ისევ ახალგაზრდულ ნაკრებში უნდა ითამაშოს, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს გუნდში მას და ვინმე სხვას გარანტირებული აქვს ადგილი" — გვითხრა ტყებუჩავამ.

21-წლამდელთა გუნდის რამდენიმე წევრი და კანდიდატი უთამაშებელია, ზოგიერთი მათგანი სარეზერვო გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდება, რაც ტყებუჩავას საქმეს ურთულებს.

და რამდენად ეფექტური იქნება ახალგაზრდული ნაკრების გადახალისება? „ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაბიჯით წინ წავედით. იმ ფეხბურთელებს, მომდევნო შესარჩევ ციკლშიც რომ უნდა ითამაშონ, 21-წლამდელთა ნაკრებს უფრო ახლოს გავაცნობ, ფეხბურთელები ერთმანეთსაც უფრო კარგად გაიცნობენ, შეთამაშდებიან" — ასეთია მწვრთნელის ხედვა.

მაგრამ ისიც საკითხავია, დარჩება კი მორიგი შესარჩევი ციკლისთვის ტყებუჩავა პოსტზე. „ფედერაციის ახალ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს შევხვდი, მაგრამ ამ საკითხზე არ გვისაუბრია. ჩვენ გუნდის პრობლემებზე ვისაუბრეთ და ახალკაცს 1983-88 წლებში დაბადებულ იმ ფეხბურთელებზე მოვუყევი, რომლებიც გუნდის წევრები და კანდიდატები არიან. მიმდინარე შესარჩევ ციკლში შესაძლოა კვლავ გამოვიძახოთ 1983-84 წლებში დაბადებული ფეხბურთელები, თუ ისინი თავიანთ კლუბებში კარგად ითამაშებენ — დავით ჭილაძე, მამუკა ლომიძე და გიორგი ციმაკურიძე — ეს მცველები ალბათ ისევ დაგვჭირდებიან. თუ ეროვნულ ნაკრებში არ დაუძახებენ, ალბათ კვლავ მოვიწვევთ ალადაშვილსაც" — მოკლედ, „ძველებიდან" ახალგაზრდულ ნაკრებში ზოგიერთს ისევ გამოიძახებენ.

კვლავ პრობლემატურია ამხანაგური მატჩების საკითხი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინა ხელმძღვანელობამ აზერბაიჯანის 21-წლამდელთა ნაკრებს შესთავაზა საქართველოში სტუმრობა, მაგრამ, როგორც ტყებუჩავამ გვითხრა, აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციიდან პასუხი ჯერ არ მოსულა.

„ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს მეტოქეები ბოლო დროს მეტწილად ათლეტიზმში ჩაგრავენ. მატჩის ბოლო ოცი წუთი ჩვენს ახალგაზრდებს სირბილიც აღარ შეუძლიათ, რაც იმის ბრალია, რომ თავიანთ კლუბებში სათანადოდ ვერ ემზადებიან. ვეცდები, რაც შეიძლება ჯანიანი, მაღალი და სწრაფი ფეხბურთელები შევარჩიო" — შეძლებს თუ არა ტყებუჩავა ასეთი ჯეელების შეგროვებას, მალე გამოჩნდება.

ისიცაა, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს, ასე ვთქვათ, საბაზო გუნდი არ ჰყავს, ტყებუჩავას სასელექციო გეოგრაფია ძალიან ფართოა.

„საბაზო გუნდის ყოლა ცუდი აზრი არაა, მაგრამ დღესდღეობით ამის შესაძლებლობა არ არსებობს. ყურადღებით ვაკვირდები თბილისის „ლოკომოტივის" გიორგი სეთურიძესა და გიორგი კახელიშვილს, დინამოელ დავით გიგაურს. მათ გარდა, მსურს, ნაკრებში გამოვცადო კიევის „დინამოსა" და მოსკოვის ცსკა-ს დუბლებში მოთამაშე ირაკლი ქორთუა და ზურაბ არზიანი, აგრეთვე ლიტვაში მოთამაშე აკაკი ხუბუტია" — ესეც ტყებუჩავას სამომავლო გეგმების ერთი ნაწილი.

კიდევ ის, რომ ყველაფერ ამის შესახებ ტყებუჩავას ეროვნული ნაკრების თავკაც ალენ ჟირესთან ჯერ არ უსაუბრია.

**დავით თავართქილაძე**

# მალხაზ ასათიანი: ძალიან ბედნიერი ვარ

რუსების ახალი თავის ტკივილი — მალხაზ ასათიანი. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი მცველი, რომელმაც ცეესკაში გადასული სერგეი იგნაშევიჩი ისე შეცვალა, რომ გულშემატკივრებიც გააოცა და დღეს ერთ-ერთი საუკეთესოცაა პრემიერლიგაში. თავის ტკივილი რაღა შუაშიაო, იკითხავთ და გეტყვით: გუშინ „სპორტ-ექსპრესში“ მალხაზ ასათიანთან მოზრდილი ინტერვიუ გამოქვეყნდა და შესავალში ერთი საინტერესო წინადადება ამოვიკითხეთ — „დასანანია, რომ მალხაზს საქართველოს ნაკრებში უთამაშია. არადა, რუსეთის ნაკრებისთვის ხომ შეუცვლელი ფეხბურთელი იქნებოდა“... ასეთი სიტყვების მერე უხერხულიც გამოვიდოდა, ეს ინტერვიუ არ გადმოგვექართულებინა. ასე რომ, ერთხელაც ვნახოთ, რას წარმოადგენს მალხაზი რუსეთში და როგორ აოცებს იგი იქაურ ჟურნალისტებს თავმდაბლობით...



## არშავინი და კერჟაკოვი ყველაზე ძლიერები არიან

— „ლოკომოტივი“ ახლა რუსეთში ყველაზე კარგად თამაშობს დაცვაში. მეთანხმებით?

— ჩვენ საერთოდ, მთელი გუნდი კარგად ვთამაშობთ. მხოლოდ დაცვას ვერ გამოვარჩევ.

— თქვენი თამაში იპოვეთ?

— მგონი, კი. შეტევაშიც კარგები ვართ, დაცვაშიც და მეკარეც ხომ საუკეთესო გვყავს.

— თქვენი უპირველესი კონკურენტი ცეესკაა, რომელიც ასევე შესანიშნავადაა დაკომპლექტებული ყველა რგოლში. როცა უეფას თასის ფინალში ცეესკას თამაშს უყურებდით, არ შეგეშინდათ?

— ცეესკას თამაშს მთელმა გუნდმა ვუყურეთ, მაგრამ შიშით არავის შეშინებია. მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ, დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

— ისე, ამ კითხვას დმიტრი სიჩოვმა ძალიან მარტივად უპასუხა: „ჩემპიონები მაინც ჩვენ ვართ“.

— მართალია და ყველანაირად ვეცდებით, ეს ფრაზა ერთი წლის მერეც გავიმეოროთ.

— „ლოკომოტივს“ ცეესკას ჯობნის პროფესიული ჟინი აქვს?

— უბრალოდ, სატურნირო ცხრილში ჩავიხედოთ. ვინ არის პირველ ადგილზე? „ლოკომოტივი“! აი, პასუხი კითხვაზე, ვინ არის დღეს ძლიერი. ისე კი, ჩემპიონატის ბოლომდე ამ თემაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს...

— რომელი თავდამსხმელების წინააღმდეგ გაგიჭირდათ თამაში ამ ჩემპიონატში?

— „ზენიტის“ თავდამსხმელებმა შედარებით მეტი პრობლემა შეგვიქმნეს. ვფიქრობ, არშავინი და კერჟაკოვი რუსეთში საუკეთესონი არიან.

— კერჟაკოვის პრობლემა „ზენიტთან“ ბოლო მატჩში იოლად მოიხსნა. მეოთხე წუთზე ის თქვენთან ორთაბრძოლისას დაშავდა და მოედანი დატოვა...

— ეს შემთხვევითობა იყო. კერჟაკოვი სათამაშო მომენტში დაშავდა, მაგრამ მერე ეს მომენტი მართლაც განვიცადე — ცხოვრებაში განზრახ არასოდეს მიუხეშია... ძალიან მეწყინა, ალალად ვამბობ.

— ცოტა ხანში კიდევ ერთ არასტანდარტული სტილის ფორვარდთან მოგიწევთ ჭიდილი — რას უპირებთ სამარელ რობერტას პოშკუსს?

— თამაშამდე არც ერთი თავდამსხმელისთვის არ ვემზადები განსაკუთრებულად. ამაზე მაშინ ვფიქრობ, როცა მწვრთნელი დავალებას მომცემს.

## ჩემი თავით კმაყოფილი ვარ

— „ლოკომოტივში“ მწვრთნელის შეცვლამ თქვენზე როგორ იმოქმედა?

— ტაქტიკა არ შეცვლილა. შესაძლოა, ჩემს თამაშში ცოტა რამ კი შეიცვალა, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი.

— თქვენს გარეშე „ლოკომოტივის“ დაცვის წარმოდგენა უკვე შეუძლებელია...

— მგონი, აჭარბებთ. არ გვინდა ასეთი ლაპარაკი. არ მიყვარს, როცა ასე განსაკუთრებულად გამომარჩევენ ხოლმე. დღეს მთელი „ლოკომოტივი“ კარგად თამაშობს, ეს არის და ეს.

— კი მაგრამ, არცთუ დიდი ხნის წინ თქვენ სათადარიგო იყავით და თამაშის შანსიც არ გქონდათ. წარმომიდგენია, როგორ განიცდიდით...

— ნუ მკითხავთ... ვის მოსწონს სკამზე ჯდომა?! მადლობა ღმერთს, ყველაფერი შეიცვალა და ახლა „ლოკომოტივში“ ძალიან ბედნიერი ვარ.

— თქვენს თამაშს გაზეთები ძალიან აქებენ. გრძნობთ, რომ ბოლო ხანს კლასი აიმაღლეთ?

— მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემი თავით კმაყოფილი ვარ და თუ როგორ მოვუმატე, ტრიბუნიდან უკეთ გამოჩნდება.

— ამ დროს კი „ლოკომოტივი“ რატომღაც მცველებს ყიდულობს. მაგალითად, ახლახან ესტონელი ანდრე ბიკეი შეიძინა. ეს თქვენ არ განერვიულებთ?

— სანერვიულო რა მაქვს? გუნდში დღესაც საკმაო კონკურენციაა. უფრო მეტი იქნება? იყოს.

## შეტევა მიზიდავს

— „ლოკომოტივში“ ვისთან მეგობრობთ?

— ყველასთან. ძნელია ვინმეს გამორჩევა. თუნდაც მიხეილ აშვეთიასთან, თან ჩვენ ხომ ქუთაისელები ვართ. მგონი, ასი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და ძალიან კარგი მეგობრები ვართ.

— მიშას საქმეები აერია — სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. რას ურჩევთ მეგობარს: მოთმინებას და მუშაობას?

— არაფერსაც არ ვურჩევ. ის ჩემზე უფროსია, ჭკვიანია და იცის, რა უნდა გააკეთოს. ჩემი აზრით, მან ცოტა უნდა მოითმინოს და შანსი აუცილებლად მიეცემა.

— დანიასთან მატჩის მერე თქვენი ფანტასტიკური გოლით აღფრთოვანებულმა ალენ ჟირესმა „მეორე ზიდანი“ გიწოდეთ. ამან ძალა არ შეგმატათ?

— არა, არა, ესეც გადამეტებაა...

— საქართველოს ნაკრებში გაცილებით ხშირად უტევთ, კლუბში კი იშვიათად...

— მთელი ცხოვრება შეტევაში ვიყავი და გოლები გამქონდა. ამიტომ, როცა „ლოკომოტივში“ შედარებით ფრთხილი თამაში მევალება, ვცდილობ, უფრო გავრისკო და მომენტი გავალამაზო. კი მინდა, თავდამსხმელების უკან ვითამაშო, მაგრამ... ჩვენ გოლის გამტანები ბევრი გვყავს და ამას ასათიანის გარეშეც ახერხებენ.

— მაგრამ შეტევა გიზიდავთ?

— რა თქმა უნდა, მიზიდავს...

— ბოლოს როდის გაიტანეთ?

— ნაკრებში, საბერძნეთთან.

## შეეძლო, „ლოკომოტივი“ მეუარა

— დღეს ალბათ ცუდად გახსენდებათ ის პერიოდი, როცა მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის არჩევანი უნდა გაგეკეთებინათ. შეგეძლოთ, მოსკოვში ჩამოსვლაზე უარი გეთქვათ...

— ამაშიც გამიმართლა. „დინამოს“ ვარიანტი ძალიან მიმზიდველი იყო: მწვრთნელი ივო შუშაკი მშვენივრად მიცნობდა, ვჭირდებოდი და ძირითადში მოხვედრის პრობლემაც არ მექნებოდა. „ლოკომოტივში“ კი ვინ მიცნობდა? ბევრი რამ იყო საეჭვო, მაგრამ გავრისკე და, როგორც ხედავთ, გამოვიცანი.

— ასათიანი ყველაზე პოპულარული ქართველი ფეხბურთელია?

— არა, ეს ჯერ ადრეა. ჩემს მშობლიურ ქუთაისში ალბათ ბევრი მიცნობს, მაგრამ თბილისში მხოლოდ ისინი, ვისაც ფეხბურთი აინტერესებს. პოპულარობას მოპოვება უნდა.

— მოსკოვშიც ვერ გცნობენ?

— ისევე, როგორც თბილისში. ვინც ფეხბურთს უყურებს, ის მცნობს, თუმცა ქუჩაში უფრო იშვიათად მცნობენ.

— ვერც „გაიშნიკები“?

— ისინი კი მცნობენ... მილიცია, გაი — ისინი მხოლოდ პასპორტს მიმოწმებენ, როგორც ქართველს.

— მოსკოვში ახალი ჩამოსული რომ იყავით, რუსულ ენასთან პრობლემები გქონდათ. ჩანს, ახლა ყველაფერი რიგზეა...

— ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესად, თუმცა კიდევ უნდა ვისწავლო.

# ბენეშმა იაშვილი ბენეშს გადაულოცა

**20 წლის** სანდრო იაშვილის და შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ ამბავში პატარ-პატარა სიახლეებია.

„რეინჯერსმა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სარეკომენდაციო წერილი მოსთხოვა იაშვილზე, რათა ეს დოკუმენტი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტში წარადგინოს და რეკომენდაციაც უკვე გაიგზავნა გლაზგოში.

იაშვილთან დაკავშირებულ ფორმალობებს შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის აგენტი ივან ბენეში აგვარებდა, მაგრამ ეს საქმე ვაჟს, ივან მარკო ბენეშს გადააბარა.

— იმედიანად ვართ, დასაქმების დეპარტამენტი ალბათ „რეინჯერსში“ თამაშის ნებას დართავს იაშვილს, თუმცა ახალი ჯერ არაფერია. 1 ივლისამდე ალბათ ყველაფერი გაირკვევა. პასუხი მანამდე უნდა გვითხრან, რადგან 4 ივლისს „რეინჯერსს“ უკვე შეკრება ეწყება — გვითხრა გუშინ უმცროსმა ბენეშმა.



**ნიკა ჯორჯაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისი ჯილა ხარ ალბერტო!

## მილანმა პარმას 25 მილიონი შესთავაზა



**ალბერტო ჯილარდინოს** „მილანში" გადასვლას წერტილი გუშინაც არ დაესვა.

გუშინ „პარმასა" და „მილანის" საქმეთა გამრიგეები, შესაბამისად, ლუკა ბარალდი და ადრიანო გალიანი კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს ტრანსფერზე მოსალაპარაკებლად.

„ჯილარდინოს ჩვენთან გადმოსვლა ძალიან უნდა. ჩვენაც მისით უკვე რა ხანია დაინტერესებულნი ვართ. მთავარი პრობლემა მისი ფასია. ჩვენ თანახმა ვართ, ალბერტოს სანაცვლოდ „პარმას" 25 მილიონი ევრო გადავუხადოთ. ზედაც კიდევ ჩვენი ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი (პაოლო სამარკო და იგნაციო აბატე) დავუმატოთ. ახლა ბარალდის საბოლოო პასუხს ველით" — განაცხადა ადრიანო გალიანიმ, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა გუშინდელი შეხვედრის შემდეგ.

ლუკა ბარალდიმ კი თქვა: „გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. „მილანმა" თავისი ვარიანტი შემოგვთავაზა, რაზედაც ვიფიქრებთ, თუმც სხვა კლუბებსაც მოვუსმენთ".

ამ „სხვა კლუბებში" კი ბარალდიმ უპირველეს ყოვლისა „ჩელსი" იგულისხმა, რომელიც მოგეხსენებათ, ჯილარდინოს შეძენით დაინტერესებულია.

ამასობაში, „მილანმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი გაასხვისა: 23 წლის მარკო ბორიელო გასულ სეზონში იჯარის წესით „რეჯინაში" თამაშობდა. ახლა კი ბორიელო ასევე ერთწლიანი იჯარით გენუის „სამპდორიაში" ითამაშებს.

გუშინდელი იტალიური პრესა კი კიდევ ერთ სიახლეზე გვამცნობს, ჯილარდინოს გარდა, „მილანის" მწვრთნელ კარლო ანჩელოტის თვალი ფაბიო ბაცანიზეც აქვს დადგმული და საერთოდაც, ანჩელოტის ახალი სეზონიდან სურს გუნდში სულ ცოტა, ხუთი თავდამსხმელი ჰყავდეს — ანდრეი შევჩენკო, ერნან კრესპო, ფილიპო ინძაგი, ალბერტო ჯილარდინო და ფაბიო ბაცანი.

და რა ბედი ეწევა კიდევ ერთ ფორვარდს, დანიელ იონ დალ ტომასონს? ახლა უკვე ცხადია, ტომასონი ანჩელოტის არ სჭირდება და „მილანიდანაც" მალე აიბარგება.

ბოლო ცნობებით, იონ დალ ტომასონს ინგლისური კლუბები — „არსენალი" და „ლივერპული" ეპატიჟებიან.

**გიორგი ვაჟაძიძე**



რუშთუ რეჩბერი თავისას ეცდება

# რუშთუ ბარსელონაში შანსისთვის დაბრუნდება

**თურქეთის** ნაკრების მეკარეს რუშთუ რეჩბერს „ბარსელონაში" დაბრუნება შეუძლიაო, განაცხადა გუშინ კატალონიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა.

მოგეხსენებათ, რუშთუ „ბარსამ" 2003 წლის ზაფხულში შეიძინა, მაგრამ თურქმა მეკარემ მოლოდინი ვერ გაამართლა და კლუბმაც იგი მშობლიურ „ფენერბაჩეში" გაათხოვა.

„დიახ, მას შეუძლია დაბრუნდეს, თუ რა თქმა უნდა, თავად მოისურვებს. სხვა თუ არაფერი, რუშთუ „ბარსელონასთან" კონტრაქტითაა შეკრული" — განუცხადა სააგენტო „როიტერს" ბეგირისტაინმა.

იქვეა მოყვანილი რუშთუს სიტყვებიც, სადაც თურქი მადლობას უხდის ბარსელონელს და უთვლის, დავბრუნდები და ჩემს შანსს ახლა მაინც გამოვიყენებო.

ჩიკი ბეგირისტაინი განაგრძობს: „ბარსელონა" ახალი სეზონისთვის მზადებას 18 ივლისს დაიწყებს. ჩვენ რუშთუს უკვე ველაპარაკეთ, გავაცანით გუნდში დღეს შექმნილი ვითარება და მანაც დასტური შემოთვალა. ასე რომ, მას 18 ივლისს კლუბის საწვრთნელ ბაზაზე ველით".

რუშთუ რეჩბერი ახალი სეზონიდან „ბარსელონაში" ერთბაშად ორ მეკარეს, ვიქტორ ვალდესსა და ალბერტ ხორკერას გაუწევს კონკურენციას.

**გიორგი ვაჟაძიძე**



ნორვეგიელ იონ კარეუს ფრანგები მალე დაელაპარაკებიან

# იონი ლიონისთვის ზედგამოჭრილია

## კარეუს საფრანგეთის ჩემპიონი ეძახის

**ფრანგული** „ლიონი", გუნდიდან ჯოვანი ელბერის წასვლის შემდეგ კვალიფიციური ფორვარდის ძიებაშია.

ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, „ლიონის" ხელმძღვანელობამ ახმახი ნორვეგიელი იონ კარეუ ამოიღო მიზანში. კარეუ, მოგეხსენებათ, ახლა თურქული „ბეშიქთაშის" წევრია.

„მართალია, ჩვენ კარეუ სერიოზულად გვაინტერესებს. იონს ამ დღეებში შევხვდებით და დაველაპარაკებით. იმედია, პრობლემა არც მასთან და არც მის კლუბ „ბეშიქთაშთან" არ შეგვექმნება" — განმარტა „ლიონის" პრესატაშემ.

25 წლის კარეუსადმი ინტერესი კი, თურმე „ლიონის" ახალ მწვრთნელ ჟერარ ულიეს პირადად გამოუთქვამს. ულიემ ორი სასურველი ფეხბურთელი უკვე გადაიბირა, „მარსელიდან" ბენუა პედრეტი და „სოშოდან" სილვენ მონსორო. ორივე ნახევარმცველია, მაგრამ ნაიმფაქტალ სპეციალისტს თავდასხმელებიც სურს.

ვიდრე იონ კარეუს შეეხმიანებოდნენ, ლიონელები „ლივერპულის" ჩეხ მილან ბაროშსაც დაუკავშირდნენ, მაგრამ მოგვიანებით ბაროშმა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდიდან წასვლა იუარა.

**გიორგი ვაჟაძიძე**

# ციხეს რად უნდა რკინის კარები...

**სკანდალურად** ცნობილი მსაჯის, გერმანელი რობერტ ჰოიზერის გადაწყვეტილება, თამაშების ჩაწყობასთან დაკავშირებით თქვას ყველაფერი, რაც მისთვის ცნობილია, ვექილ კატო დილის აზრით პატივისცემას მოითხოვს.

მოგეხსენებათ, რობერტ ჰოიზერი 25 წლისაა და მას მონიძლავეთა დანაშაულებრივი ჯგუფისგან 67 ათასი ევროს ქრთამად აღება უმტკიცდება.

„ჩემი რეკომენდაციის შესაბამისად, რობერტ ჰოიზერმა კანონის დამცველებთან სრულიად ითანამშრომლა, რაც იცოდა ყველაფერი თქვა და პატიებაც ითხოვა. იმედი მაქვს, მისი ეს საქციელი განაჩენის გამოტანის დროს შეუმჩნეველი არ დარჩება — უთხრა ადვოკატმა ესპანურ გაზეთ „ასს" და დასძინა — ბევრს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ ჩემი კლიენტი შავი ცხვარი და გამონაკლისია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ამ საქმეში კიდევ 30 კაცია ჩათრეული, რომელთაგან რობერტ ჰოიზერი უბრალოდ, ყველაზე ცნობილია".

ჰოიზერმა რამდენიმე შეხვედრის ანგარიშზე თავისი გავლენა აღიარა. ამ თამაშებს შორისაა რეგიონალლიგელი „პადერბორნის" სათასო გამარჯვება „ჰამბურგთან".

„საქმე ძალიან ჩახლართულია, მაგრამ ჰოიზერის დახმარების გარეშე ამისი ნახევარიც არ იქნებოდა ცნობილი — განაგრძობს დილი — ჩემი მთავარი მიზანი კი რობერტ ჰოიზერის ციხის გარეთ დატოვებაა".

თავად ჰოიზერმა კი იმავ „ასს" განუცხადა, რომ ეშინია და ხელახლა ციხეში წასვლა არ უნდა.

**ბაჩუნა ძიდია**



რობერტ ჰოიზერს ციხის ეშინია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეჟმანი ეგებ ათლეტის გახდეს



მატეა კეჟმანს „ჩელსის“ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მობეზრდა

**მადრიდის** „ატლეტიკო“ „ჩელსის“ სერბი თავდამსხმელით, მატეა კეჟმანით დაინტერესდა. მოგეხსენებათ, „ათლეტთა“ ამჟამინდელი მწვრთნელი, არგენტინელი კარლოს ბიანკი „ვისენტე კალდერონზე“ თანამემამულე ხავიერ სავიოლას მიყვანას აპირებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მადრიდელები სავიოლას ვერ იყიდიან, სათადარიგო ვარიანტად სწორედ ბალკანელი ფორვარდი შეუგულებიათ.

მატეა კეჟმანი „ჩელსიში“ შარშან მივიდა, იქამდე კი „პსვ ეინდჰოვენის“ ლიდერი გახლდათ, სადაც 2002-2003 წლების ჩემპიონატში 35 გოლი შეაგდო და ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

„კეჟმანთან ახლა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. საქმეები კარგად მიდის და ალბათ უახლოეს ხანში „ატლეტიკოს“ ახალი ფეხბურთელის შესახებაც გაიგებთ“ — უთხრა ესპანურ მარკას მიგელ ანხელ ხილმა, „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა.

თავად კეჟმანი კი აცხადებს, რომ „სტემფორდ ბრიჯიზე“ სათადარიგოდ ყოფნა მობეზრდა და რომელიმე კლუბისგან სარფიან შეთავაზებაზე უარს არ იტყვის.

„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თუ რომელიმე ევროპული გუნდი მიმიპატიჟებს, ჩემი მხრიდან პრობლემები არ შეექმნებათ“ — ამბობს სერბი და დასძენს, რომ მისი შეძენით სულ ცოტა, 10 კლუბია დაინტერესებული.

მატეა კეჟმანის სატრანსფერო ფასი კი 9 მილიონი ევროა.

**ლადო ხომერიკი**


პოლ ლე გუენმა იტალიურ გუნდთან შესაძლოა, მაინც ითანამშრომლოს

# პოლ ლე გუენის სერია

**პოლ ლე გუენი** „უდინეზეს“ მწვრთნელობის კანდიდატთა შორის დაასახელეს. უდინელთა ყოფილი თავკაცი ლუჩანო სპალეტი, რომელმაც გუნდი მეოთხე ადგილზე გაიყვანა, მოგეხსენებათ, გასულ კვირას „რომაში“ გადავიდა.

გადავიდა და კლუბის ბოსებიც სპალეტის შემცვლელს ეძებენ. გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა და გამოცდილი მწვრთნელი სჭირდება. უდინელები დიდიე დეშანმა უარით გაისტუმრა. დეშანის გარდა ნუსხაში არიან „ჯენოას“ და „ბრეშას“ ყოფილი თავკაცები — სერსე კოზმი და ჯანი დე ბიაზი. მათ გუშინ პოლ ლე გუენიც შეემატათ, რომელმაც ივნისის დასაწყისში „ლაციოს“ შეთავაზება იუარა. ლე გუენს „ოლიმპიაკოსში“ გადასვლის ვარიანტიც ჰქონდა, ახლა კი „უდინეზეც“ გამოუჩნდა.

პოლ ლე გუენმა „ლიონი“ ზედიზედ სამჯერ გააჩემპიონა. ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალამდე იარა. ფრანგი მწვრთნელი უდინურ კლუბში მუშაობას თუ დათანხმდა, იქ თვისტომი ვენსან ვანდელა დახვდება, რომელმაც „უდინეზესთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



პორტუგალიელ ლუიშ ფიგუს თანამემამულე გამოექომაგა

# ფუტრემ ფიგუს ისევ რეალი ურჩია

**პორტუგალიელი** პაულო ფუტრე, რომელიც საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ისევ ფეხბურთში მოღვაწეობს და ახლა საფეხბურთო აგენტია, გუშინ თანამემამულე „ა ბოლას“ კორესპონდენტს ლუიშ ფიგუსა და მადრიდის „რეალის“ ურთიერთობაზე ესაუბრა.

„ვფიქრობ, ჯერ „რეალისა“ და ლუიშის განშორება ადრეა. ფიგუ მადრიდულ გრანდში სულ ცოტა, ორი-სამი წელი უმაღლეს დონეზე ბურთაობას მაინც შეძლებს“ — აღნიშნა ფუტრემ.

მოგეხსენებათ, „რეალის“ ინჩასთათვის ოდესღაც სათაყვანო ფიგუ დღეს მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოსთან უბრადაა და სწორედ მისი წყალობით ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რის გამოც ესპანური სპორტული მედია პორტუგალიელს „სამეფო გუნდის“ მალე დატოვებას უწინასწარმეტყველებს.

„რატომღაც ფიგუს „ბერნაბეუზე“ ყოფნას წერტილი წინასწარ დაუსვეს. არა მგონია, ლუშემბურგოსთან საერთო ენა ვერ გამონახოს. მისი დარი ფეხბურთელის დაკარგვა არც პრეზიდენტ ფლორენტინო პერესის ინტერესებში შედის“ — დაბეჯითებით დასძინა ბოლოს პაულო ფუტრემ, ვინაც თავის დროზე მადრიდის „ატლეტიკოს“ ლეგენდარული ფეხბურთელი გახლდათ.

**ლადო ხომერიკი**

# მანჩესტერული პარკის ბიზნესი

**„პსვ ეინდჰოვენისა“** და სამხრეთ კორეის ნახევარმცველი ჯი-სუნგ პარკი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. ინგლისურმა კლუბმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 7 მილიონ 300 ათასი დოლარი გადაიხადა. პარკმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ითხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ჩემი კლიენტის ტრანსფერი მოგვარებულია — განაცხადა კორეელის აგენტმა იუნგ-ლი კიმმა — სამედიცინო შემოწმების შემდეგ ის ინგლისში ჩავა. ამ საქმის გაჩარხვით ყველა კმაყოფილია“.

თავად ფეხბურთელმა კი თქვა: „დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში არ დავიკარგები და დავამტკიცებ, რომ კორეელებს უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ. აქ იმიტომ კი არ გადმოვედი, რომ მანჩესტერელებს აზიის ბაზრის ათვისება სურთ, არამედ ფეხბურთის სათამაშოდ. ბიზნესი ჩემი საქმე არაა“.

ჯი-სუნგ პარკი ყოველწლიურად 3 მილიონ 600 ათას დოლარს მიიღებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



კორეელი ჯი-სუნგ პარკი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ითამაშებს

# ობასანჯომ ჩუკვუს არწივები წაართვა

**ნიგერიის** ნაკრების მწვრთნელი კრისტიან ჩუკვუ სამუშაოდან დაითხოვეს. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში „სუპერარწივებმა“ შინ ანგოლასთან 1:1 ითამაშეს და მისი გათავისუფლების მიზეზიც ეს გახდა.

შემდეგ კრისტიან ჩუკვუ ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციაში დაიბარეს და გადაწყვეტილების შესახებ აცნობეს. ჩუკვუს, რომელიც ნაკრებს 2002 წლის სექტემბრიდან წვრთნიდა, მისი თანაშემწე, სეხნია კრისტიან ეგუავონი დროებით შეცვლის. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ოლუსეგუნ ობასანჯომ განაცხადა, რომ სექტემბრამდე ახალ, მწვრთნელს მოძებნის, რომელიც უცხოელი იქნება.

ნიგერიას და ანგოლას 15-15 ქულა აქვთ, მაგრამ ანგოლელები ურთიერთშეხვედრებში სჯობნიან და ჯგუფში პირველ ადგილზე არიან. ნიგერიელები მორიგ შესარჩევ მატჩს სექტემბერში, ალჟირში გამართავენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ასიერ დელ ორნო „ჩელსიმ“ ოფიციალურად გადაიბირა

# ჩელსიმ მარცხნივ ამოისუნთქა

**ჟოზე მაურინიუ** ამბობს, რომ ესპანელი მარცხენა მცველის, ასიერ დელ ორნოს შეძენა „ჩელსის“ ევროსარბიელზე გააძლიერებს — ასე და ამგვარად, მდიდარმა ლონდონელებმა ბოლოს და ბოლოს გაიღეს 8 მილიონი ინგლისური გირვანქა და ბილბაოს „ატლეტიკისგან“ მიიღეს მოთამაშე, ვის მიღებასაც ესწრაფვოდნენ. 24 წლის დელ ორნომ მაურინიუს შეგირდობაზე სამწლიანი დასტური განაცხადა და 1 ივლისიდან მისი სამუშაო ადგილი უკვე ოფიციალურად გახდება ინგლისის დედაქალაქი.

ჟოზე მაურინიუ: „ასიერი საუცხოო ფეხბურთელია, რომელიც ჩვენს გუნდს სწორედ იმ პოზიციაზე გააძლიერებს, რომლის გაძლიერებასაც ვეშურებოდით. დარწმუნებული ვარ, იგი „ჩელსის“ საკვანძო ფეხბურთელი გახდება და ჩვენც განვაგრძობთ ინგლისსა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებისთვის ბრძოლას“.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსიმ გასულ სეზონში ინგლისის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო და ქარლინგის, იგივე ლიგის თასსაც დაეპატრონა, მაგრამ ევროპული სარბიელიდან „ლივერპულმა“ დაიფრინა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ჟოზე მაურინიუ მარცხენა მცველის შეძენას უკვე კარგა ხანია ცდილობდა. თავიდან მას „არსენალისგან“ ეშლი კოულის გადაბირება უნდოდა, მაგრამ თუ გახსოვთ, ამ სურვილს სკანდალი მოჰყვა, „ჩელსი“ ფეხბურთელთან „არსენალის“ ზურგსუკან მოლაპარაკებებში დაადანაშაულეს და ამიტომაც საქმე ჩაიშალა, ხოლო რაც შეეხება კახა კალაძეს, მისი ტრანსფერის ამბავი გაუგებარია, ისევე, როგორც გაუგებარია ინგლისური პრესის დუმილი ამ თემასთან დაკავშირებით: მაგალითად „სანი“ წერს, რომ „ჩელსიმ“ დელ ორნო იყიდა, მარცხენა მცველის პრობლემა აღარ აქვს და მორჩა, საქართველოს ნაკრების კაპიტანს არ ახსენებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ჟოზე მაურინიუ მარცხენა მცველად უილიამ გალასს ათამაშებდა, უეინ ბრიჯს კი კოჭი ჰქონდა მოტეხილი...

აი, რას ვერ ახერხებს მაურინიუ და კახა კალაძის თანაგუნდელის, მილანელი ერნან კრესპოს საქმის მოკვარახჭინებას. კრესპო, მოგეხსენებათ, იურიდიულად ჩელსელია, რომელიც გაქირავებული იყო „მილანში“ და ლონდონელებს თითქოს ნათქვამიც ჰქონდათ, სეზონი რომ დამთავრდება, დაგვიბრუნდიო, მაგრამ კრესპოს „შავ-წითელთა“ ბანაკიდან წამოსვლა ცოცხალი თავით არ უნდა. არადა, მას მერე, რაც სამუელ ეტოომ ძალიან დიდ ფულადაც კი უარი თქვა „ბარსელონადან“ „ჩელსიში“ გადასვლაზე, მაურინიუს არგენტინელი გეგმაში სერიოზულად ჰყავდა ჩასმული.

„სანი“ „ჩელსის“ ერთ-ერთ საქმეში ჩახედულ თანამშრომელზე დაყრდნობით ამბობს, რომ თუ „მილანთან“ მოლაპარაკებებმა კვლავ არაფერი მოიტანა, ჟოზე კრესპოს დაკარგვას შეეგუება, მაგრამ გამოუვა, რომ ძლიერ თავდამსხმელს გაუშვებს, რათა ძლიერი თავდამსხმელის ძებნა დაიწყოს.

„არადა, როგორ გინდა კაცი აიძულო თავდადებით ითამაშოს „ჩელსისთვის“ თუ მას იქ ყოფნა არ უნდა?“ — კითხულობს ინკოგნიტო წყარო.

**პაპუნა ძიძია**

## პირმზის ახალი თავი

**„კიევოს“** ახალ მწვრთნელად „ტრევიზოს“ ყოფილი თავკაცი ჯუზეპე პილონი დანიშნეს. მან კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდს 2005-2006 წლების სეზონში უხელმძღვანელებს.

„მფრინავმა ვირებმა“ გაზაფხულზე მარიო ბერეტა გაათავისუფლეს და სეზონი დროებითი მწვრთნელის, მაურიციო დანჯელოს ხელქვეით ჩაამთავრეს. „კიევო“ ჯუზეპე პილონთან კონტრაქტის გაფორმება ივნისის დასაწყისშივე სურდა, მაგრამ „ტრევიზოსა“ და „პერუჯას“ საპლეიოფო მატჩების დასრულებას დაელოდა. „ტრევიზო“ სერია B-ში დარჩა, პილონი კი „კიევოში“ აღმოჩნდა და ეს მისი დებიუტი იქნება სერია A-ში.

49 წლის პილონი ხელფასის სახით 166 ათას ევროს მიიღებს და თუ კარგი შედეგი იქნება, სამუშაო „ვიზას“ კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივებენ. ჯუზეპე პილონის აქამდე იტალიის სამოყვარულო დივიზიონში, სერია C-სა და სერია B-ს გუნდებში უმუშავია.

**მაკა ხუციშვილი**

# ფრანსისკ ფაბრეგასი: მაშინ 16 წლისა ვიყავი...

*ლონდონის „არსენალის“ ესპანელი ნახევარმცველი ფრანსისკ ფაბრეგასი ყველაზე ახალგაზრდა „მეთოფეა“ მათ შორის, ვისაც ამ კლუბის მაისურით გოლი გაუტანია — 2003 წლის 2 დეკემბერს ფაბრეგასი 16 წლის და 212 დღის იყო, როცა „ვულვერჰემპტონთან“ მატჩში პირველი არსენალური გოლი მიითვალა. გასულ სეზონში მან არაერთხელ შეცვალა ტრავმირებული პატრიკ ვიეირა და საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურებოდა. შარშან შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგაც დააჭაშნიკა, „რუსენბორგთან“ კი სალიგო გოლის გემოც გაიგო. ფეხბურთელი კარგად „ჩაეწერა“ გუნდში და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ*



**— როგორ შეეგუეთ ინგლისს?**

— თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ჩემი ოჯახი აქაა და მათ გამიადვილეს ცხოვრება. გარდა ამისა, „არსენალშია“ ხოსე ანტონიო რეიესი და მასთან ვმეგობრობ. სამი-ოთხი თვის განმავლობაში ვნერვიულობდი, მერე კი ყველაფერს შევეჩვიე და ახლა ბედნიერი ვარ.

**— ჯერ 17 წლის ხართ და შესაძლებელია, რომ კარიერის ბოლომდე „არსენალში“ დარჩეთ?**

— რატომაც არა, ეს ხომ ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. აქ ერთმანეთს უდიდესი პატივისცემით ეპყრობიან, რასაც ძალიან ვაფასებ. ყოველთვის ვოცნებობდი ასეთი დონის გუნდში თამაშზე და თავს კომფორტულად ვგრძნობ. ამიტომ ჯერჯერობით წასვლაზე არ ვფიქრობ.

**— რა განსხვავებაა „ბარსელონასა“ და „არსენალის“ ვარჯიშებს შორის?**

— „ბარსელონაში“ 16-წლამდელთა გუნდში ვთამაშობდი. დილით სკოლაში დავდიოდი, მერე ვარჯიშზე და ეს არ იყო იოლი. ამჟამად მხოლოდ ფეხბურთია ჩემი საქმე. „არსენალში“ საუკეთესო პირობებია, „ბარსელონაში“ კი ხელოვნურსაფარიანი მოედნები იყო და ერთ მოედანზე ერთდროულად ოთხი გუნდი ვარჯიშობდა. ლონდონში ყველაფერი იდეალურადაა.

**— მაინც რატომ გადაწყვიტეთ „არსენალში“, თქვენ ხომ ბარსელონაში დაიბადეთ და კატალონიურ კლუბში თამაში შეგეძლოთ?**

— იმიტომ, რომ „არსენალი“ ყოველთვის რაღაცით მხიბლავდა და ლონდონში პირველივე ჩასვლის შემდეგვე გადავწყვიტე ინგლისში დარჩენა. მაშინ მითხრეს, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებო და ამით „დამატყვევეს“.

**— „არსენალის“ დაცვას ხშირად აკრიტიკებენ და ეს როგორ მოქმედებს გუნდზე?**

— მეტწილად კრიტიკა უსამართლოა. ჩვენ შესანიშნავი დაცვა გვყავს, თუმც უკეთესად თამაშიც შეგვიძლია. არსენალელებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვთ და იციან, როგორ უნდა მოიგონ თამაში. გასული სეზონი მთლად კარგი ვერ გამოვიდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომდევნო უკეთესი იქნება.

**— შარშან შემოდგომაზე თმები დაიმოკლეთ, ალბათ თანაგუნდელები გაშაყირებდნენ...**

— ახლა ველარაფერს მეუბნებიან ვარცხნილობაზე, მანამდე კი დამცინოდნენ. ჩემი გრძელი თმები განსაკუთრებით ხოსე ანტონიო რეიესს ახალისებდა.

**— როგორ ფიქრობთ, არის თქვენს თამაშში პროგრესი?**

— ალბათ კი. არსენ ვენგერმა თავის გამოჩენის შანსი მომცა და შედეგმაც არ დააყოვნა. პროფესიული თვალსაზრისით წინ წავიწიე, რადგან მსოფლიოს საუკეთესო ლიგის გუნდში ვარ. ეს უმნიშვნელოვანესია თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად. არ ვნანობ „ბარსელონადან“ რომ წამოვედი, მაგრამ მის ქომაგად ვრჩები.

**— უფრო ხშირად მარჯვენა ფლანგზე გხედავთ, არადა, თქვენი ადგილი ნახევარდაცვის ცენტრშია...**

— რაკი მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა, მეც დავყაბულდი. თან ფლანგზე უფრო ნაკლებია დატვირთვა, ვიდრე ცენტრში.

**— თქვენი აზრით, რომელი კომპონენტები გაქვთ დასახვეწი?**

— ყველაფრის დახვეწა მჭირდება, მე ხომ ჯერ 17 წლის ვარ. განსაკუთრებით მარცხენა ფეხით თამაში და დაცვაში გუნდის დახმარება. პატრიკ ვიეირას გვერდით რომ ვარ და ვუყურებ, როგორ მუშაობს, მსურს, მას დავემსგავსო.

**— ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ?**

— ჩემპიონთა ლიგაში „რუსენბორგთან“ თამაში, რადგან იმ შეხვედრაში პირველი სალიგო გოლი გავიტანე. ჩემი ოჯახი სტადიონზე იყო და მთელი გუნდი მოსალოცად მომვარდა. ეს დაუვიწყარი მომენტია.

**— რომელი ფეხბურთელების წინააღმდეგ გიჭირთ თამაში?**

— როი კინის და პოლ სქოულზის. უდიდესი გამოცდილება აქვთ და მათ წინააღმდეგ მოტივაციაც მეტი მაქვს.

**— „არსენალის“ ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი ვინაა?**

— ვფიქრობ, ნებისმიერი თავისებურად განსაკუთრებულია, მაგრამ ჩემს პოზიციაზე პატრიკ ვიეირას გამოვარჩევ, ტიერი ანრი კი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია.

**— მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი?**

— რონალდინიო. უფრო სწორად, რონალდინიო ან ანრი. ისინი ძალიან ბევრს მუშაობენ თავის გუნდებისთვის და გოლებიც გააქვთ. ორივე საუკეთესოა.

**— ბავშვობაში თქვენი კერპი ვინ იყო?**

— ხოსეპ გვარდიოლა. ის ჩემს პოზიციაზე თამაშობდა და მინდოდა, რომ გვარდიოლასავით დიდი ფეხბურთელი გამოვსულიყავი. 17 წლისამ დაიწყო „ბარსელონაში“ თამაში და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. მას ბრწყინვალე სეზონები ჰქონდა და ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში გამოდიოდა.

**— თუ ოცნებობთ იმაზე, რომ ოდესმე თქვენზეც ასე ილაპარაკონ და ვინმეს კერპი გახდეთ?**

— ჯერ ამაზე ფიქრი და ოცნება ადრეა. საამისოდ საჭიროა, „არსენალთან“ ერთად რამდენიმე ჯილდო მაინც მოვიგო.

**— „არსენალს“ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ეზრდება. მზად ხართ იმისთვის, რომ მომავალში გუნდის ლიდერობა ითავოთ?**

— ყოველ მატჩში დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ალბათ ასეც გაგრძელდება, მაგრამ ნელ-ნელა გამოცდილება მოვა, მე კი შევეცდები, ისევე დავეხმარო მომავალ თაობას, როგორც მე მეხმარებოდნენ აქ ჩამოსვლის დღიდან.

# ხელების ფათური ლიფტსა და კაბინეტში

## ეროტიკული წერილი ვითომსაფეხბურთო სენსაციაზე

*ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში მორიგი სექს-მხიარულებაა და მისი მთავარი გმირი კვლავ ჩვენთვის კარგად ნაცნობი მდივანი ქალბატონი ფერია ელამი გახლავთ, სწორედ ის, რომელიც...*

*თუმცა, მოდით სანამ ქალბატონი ელამის წინა სიკისკასეს მოვიგონებდეთ, ისა ვთქვათ, თუ რა ხდება ლონდონ ქალაქში ამჯერად*

**ამჯერად** გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქში, მადამ ელამი ფეხბურთის ასოციაციის შეფს, დევიდ დევისს ბრალს სექსუალურ შემოტევაში სდებს. ეს სენსაციური ბრალდება შრომითი მოწყობის ტრიბუნალზე გაისმა და იქვე ითქვა, რომ მას ანუ ქალბატონ ფერიას მისმა ადრინდელმა დამპყრობელმა, ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ტრიბუნალზე გასვლის წინ სთხოვა მათი სიყვარული ამბები ტყუილად გამოეცხადებინა. ფაქტობრივად, 39 წლის ქალბატონი ბრძანებს, რომ ერიკსონმა მას ხალხთა მასების მოტყუება შესთავაზა.

ახლა, გაგახსენდათ, საიდანაც ვიცნობთ მადამ ფერია ელამს? დიახ, ეს სწორედ ის პიროვნებაა, ვინც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში აღმასრულებელი შეფის, მისტერ მარკ პელიოსის საყვარლად გახლდათ ცნობილი, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ სატრფიალო წინადადებებზე უარის თქმა უჭირს, ყოველ შემთხვევაში ნაკრების მწვრთნელს არა ვერ შეჰკადრა და პელიოსის ზურგსუკან წაუმხიარულა.

„ბატონმა ერიკსონმა დამავალა, თუ რამეს მკითხავდნენ, შორს დამეჭირა და დამპირდა, რომ თავადაც იგივეს გააკეთებდა. მეც ნამდვილად არ მსურდა მისთვის ცხოვრების გართულება" — უთხრა ელამის ქალმა ცენტრალურ ლონდონში მდებარე ზემოხსენებულ ტრიბუნალს. მანვე დასძინა, რომ ფეხბურთის ასოციაციაში სამუშაოდ 2003 წლის ივლისში მივიდა და მისვლის დღიდანვე იგრძნო ერიკსონის ყურადღება.

„ის ხშირად ამოდიოდა ჩემს სართულზე და კომპლიმენტებით მამკობდა. შემდეგ ტელეფონითაც მიბამდა საუბრებს, მეკითხებოდა რა მეცვა, მარწმუნებდა, რომ მშვენიერი ვარ და შანსს მთხოვდა".





ფერია ელამი დევიდ დევისს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს

ყოფილი შტატგარეშე მოდელის, ქალბატონი ელამის თქმით, თავიდან იგი ერიკსონს იგერიებდა, რადგან იცოდა, რომ შვედს წლობით გამოცდილი მეგობარი, ნენსი დელ ოლიო ჰყავდა, თუმცა ამის პასუხად თავად ერიკსონმა ბრძანა, რომ იმ პერიოდისთვის ის და ნენსი უკვე მთელი წელიწადი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ფერია ელამი თავს სამსახურიდან განზრახ გაგდებულად, სექსუალური თვალსაზრისით ჩაგრულად, სამსახურიდან გაშვების შემდეგ კომპენსაციანაკლულად და მრავალ სხვა საკითხში დაბეჩავებულად მიიჩნევს. მეტიც, იგი ამბობს, რომ მასზე სექს ლაშქრობათა რაოდენობა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში სარეკორდო იყო...

და აი, აქ მივადექით თემას, რომლითაც დავიწყეთ — დევიდ დევისი და ვნებანი.

ფერია ელამი ამბობს: „მისტერ დევისი ძალიან ხშირად ჩემთვის არასასურველ ფიზიკურ მოქმედებებს ასრულებდა. მაგალითად 2003 წელს, მასთან ბინაში გამართული წვეულების შემდეგ, როდესაც კარიდან გამაცილა, ჩემი შებოჭვა და კოცნა სცადა. რამდენჯერმე, როდესაც ოფისის ლიფტში ერთად მოგვიწია მგზავრობამ, ტუჩებში საკოცნელად გამოიწია, მაგრამ მე კატეგორიული უარი შევაგებე. მოკლედ, შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ ფეხბურთის ასოციაციაში მუშაობის წლებში მისტერ დევისი ჩემს წინააღმდეგ სექსუალურ აგრესიას ეწეოდა".

საინტერესოა, რომ დევისის მიმართ კატეგორიულმა ფერიამ პირადი ღირსების დაკარგვა, უფრო კი საეჭვო გაქრობა დაიჩივლა. მანვე ბრძანა, რომ ფეხბურთის ასოციაციის ხალხი მის კომპიუტერულ საფოსტო ყუთში აფათურებდნენ ხელებს თუ თვალებს და, აი, კიდევ ერთი ამბავი: ელამმა ბრძანა, რომ ასოციაციის კიდევ ორი თანამშრომელი ქალბატონი, კი[illegible] ფოსტერი და სარა ფორდი [illegible] უბრებში [illegible] ყურადღებას [illegible].

ელამი: „[illegible] რამდენიმეჯერ სცადა ხელის გადახვევა. მეუბნებოდა, რომ ჩემთან ერთად გაქცევა, უფრო კი ჩემი ოთახში ჩაკეტვა და გასაღების გადაგდება უნდა. მე ეს სიტყვები რასაკვირველია მომწონდა, მაგრამ ვერაფრით ვანუგეშებდი. პირიქით, ხან ხელს ვკრავდი და ხან გაბრაზებული შევუღრენდი ხოლმე".

...კი მაგრამ პასუხი?

პასუხმაც არ დააგვიანა, ოღონდ არა უშუალომ, არამედ „პრეს ასოშიეიშენის" გავრცელებული განცხადების ფორმით, სადაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფი ამბობს, რომ სამსახურიდან 11 თვის წინ წასული ქალბატონის ყველა ნათქვამი აბსოლუტური ტყუილია, რომლისაც ცხადია, არც თავად უნდა სჯეროდეს.

„მარტო შარშან, მან სამჯერ სცადა დამკავშირებოდა და თავის არეულ ისტორიაში ჩემი დახმარება ეთხოვა. მაშინ ეს სულელური ისტორიები ერთხელაც არ მოუყოლია — ბრძანებს დევიდ დევისი და დასძენს — BBC-ში 22 წლიანი მუშაობის და ფეხბურთის ასოციაციაში გატარებული 11 წლის შემდეგ ცხადად ვხვდები, რას იგრძნობენ ის გულწრფელი ადამიანები, რომლებიც ფერია ელამს მთელი ამ ხნის განმავლობაში დახმარების ხელს სთავაზობდნენ. ხოლო რაც შეეხება ციფრებს, მე ასე ვიტყვი: მესამე კაცი ცხოვრებაში არ ვყოფილვარ და არც არასოდეს ვიქნები!"

დევიდ დევისი შრომითი მოწყობის ტრიბუნალის წინაშე სავარაუდოდ, ხვალ წარსდგება.

**პაპუნა ძიდია**

# მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ჰოლანდია. 10 ივნისი — 2 ივლისი

# დრამატული და ახალგაზრდული თექვსმეტი ორზე გაიყო

**მერვედფინალი**

**ჩინეთი 2:3 გერმანია**
**აშშ 1:3 იტალია**
**ბრაზილია 1:0 სირია**
**მაროკო 1:0 იაპონია**

**სირიელ** ახალგაზრდათა რამდენიმემატჩიან ზღაპარს მერვედფინალში წერტილი ბრაზილიელების დარტყმულმა ერთმა პენალტმა დაუსვა — რვა უძლიერესის სიაში სამხრეთამერიკელები შევიდნენ. თუმცა, მერე რა რომ სირიელები ტექნიკურად ბრაზილიელებივით დახვეწილნი არ იყვნენ. მათმა გულიანმა და თავდაუზოგავმა თამაშმა ტილბურგში შეკრებილი საზოგადოების თვალში ნაკლები ადგილი როდი დაიკავა. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სირიელთა მორიგი დიდი საღამო.

„მთელი 90 წუთი ისე ვითამაშეთ, რომ მეტოქის წინაშე არაჯანსაღი მოწიწება წამითაც არ გამოგვიმჟღავნებია — განაცხადა სირიელთა მწვრთნელმა მილოსავ რადენოვიჩმა — მწამს, დღევანდელმა მატჩმა საფუძველი ჩაუყარა იმას, რომ შემდეგ ჩემპიონატში ბრაზილიელებს კიდევ უფრო თანაბრად შევებრძოლებით".

ბრაზილიელთა თავკაცმა რენე ვებერმა კი ბრძანა: „საგოლე მომენტები საკმაოდ მრავლად შევქმენით, მაგრამ ბოლო დარტყმაზე მეტი ვარჯიში გვჭირდება. მეოთხედფინალში გერმანელებთან რთული მატჩი გველის, მეტოქე ორ თამაშში ვნახე, არგენტინასა და ჩინეთთან, მაგრამ მასთანაც მხოლოდ გამარჯვებას ველი".

გერმანიამ კი ჩინელებს 3:2 მოუგო, ოღონდ ეს რომ იოლი გასეირნება არ იყო იქიდანაც ჩანს, ევროპელებს ორჯერ გათანაბრება რომ მოუხდათ.

გერმანელთა თავკაცი მიხაელ სკიბე: „ვულოცავ ყველას, ვინც ითამაშა. ორივე გუნდმა საუცხოო შეხვედრა გამართა და ჩემი აზრით, უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა შესაძლებლობბის მაქსიმუმი გამოავლინა. განსაკუთრებით იმან გამახარა, რომ თამაში ბოლო წუთზე მოვიგეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინელებთან დამატებით დროს ავცდით და მეოთხედფინალისთვის ძალები მეტად დაგვეზოგება".

ჩინეთის ნაკრების გულდაწყვეტილი მწვრთნელი ერხარდ კრაუცენი: „წაგების მიუხედავად ჩვენი თამაშით კმაყოფილი გახლავართ. ჩინეთმა დაამტკიცა, რომ ფეხბურთის, თანაც შემტევი ფეხბურთის თამაში შეუძლია. სამწუხაროდ, დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით. ყველაზე ძნელი გერმანელთა დიაგონალურ პასებთან გამკლავება გახლდათ".

იტალიამ ამერიკელებს მოუგო 3:1 და, როგორც მიმოხილვებში ვკითხულობთ, მეორე ტაიმი თვალშისაცემად პროფესიულად ითამაშა.

„ემოციური თამაში იყო — ამბობს იტალიელთა შეფი პაოლო ბერეტინი — ორივე გუნდი დაუსრულებლად უტევდა. პირველ ტაიმში მოწინააღმდეგემ წონასწორობა თავის სასარგებლოდ დაარღვია, მაგრამ მეორეში ჩვენ მენტალური სიძლიერე გამოვავლინეთ და ვითარება მოვაწესრიგეთ".

ანგარიში კი მართლაც. პირველი ტაიმის მიწურულს გაიხსნა, როდესაც ფრედი ადუს წაქცევისთვის იტალიელების კარში პენალტი დაინიშნა. თერთმეტი მეტრიდან თავად ადუმ დაარტყა, მაგრამ მეკარემ აუღო. ამერიკელთა გასახარად მსაჯმა ადუს ხელმეორედ დარტყმა დაავალა, თუმცა მან ბურთი ჰანტერ ფრიმენს დაუთმო. ფრიმენმა გაიტანა, ადუს კი ამ შეჯიბრებაში ერთი პენალტი უკვე ჰქონდა აცილებული.



მაროკო — იაპონია. მაროკოელმა ხაჯიბ ბენზუკანემ იაპონელი სოტა ჰირაიამა არ გაატარა

„ფრედის სიყოჩაღეში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ აცილებამ მაფიქრებინა, რომ ჯობდა ამჯერად სხვას დაერტყა პენალტი" — განაცხადა ამერიკელთა თავკაცმა შმიდტმა.

მაროკომ კი იაპონია ბოლო წამის გოლით დაამარცხა.

**პაპუნა ძიდია**

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

### იტალია. სერია B

**23 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 513 | პერუჯა-ტორინო | 2.20 | 2.50 | 3.70 | 1.17 | 1.37 | 1.49 |

**25 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 1 | ვიჩენცა-ტრიესტინა | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |

### რუსეთი

**25 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 4 | ალანია-ტერეკი | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 15:00 | 5 | მოსკოვი-ტორპედო | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 15:00 | 6 | როსტოვი-ცსკა | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 15:00 | 7 | რუბინი-ზენიტი | 2.55 | 2.90 | 2.75 | 1.35 | 1.32 | 1.41 |
| 15:00 | 8 | სპარტაკი-შინიკი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |

**26 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 10 | დინამო-ტომსკი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 15:00 | 9 | ამკარი-კრილია | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 15:00 | 11 | სატურნი-ლოკომოტივი | 3.40 | 2.90 | 2.10 | 1.56 | 1.29 | 1.21 |

### ნორვეგია. ტიპელიგა

**26 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 13 | ჰამარი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 22:05 | 16 | ლილესტრიომი-ფრედრიკსტადი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 20:00 | 14 | ლინი-ალესუნდი | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 20:00 | 12 | ოდ გრენლანდი-ბრანი | 3.30 | 3.50 | 1.95 | 1.69 | 1.22 | 1.25 |
| 20:00 | 15 | სტარტი-ბოდიო გლიმტი | 1.75 | 3.50 | 4.30 | 1.16 | 1.24 | 1.92 |

**27 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 17 | რუსენბორგი-ვოლერენგა | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |
| 21:00 | 18 | ვიკინგი-ტრომსიო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |

### ნორვეგია. I დივიზიონი

**23 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 20 | სტაბეკი-მანდალი | 1.35 | 4.80 | 6.50 | 1.05 | 1.11 | 2.76 |

### შვედეთი. სუპერეტა

**23 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 46 | გაის-დეგერფორსი | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |

### ისლანდია

**23 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:15 | 57 | რეიკიავიკი-თროტური | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 23:45 | 53 | ჰაფნარფიორდური-აკრანესი | 1.45 | 3.70 | 5.40 | 1.04 | 1.14 | 2.19 |
| 23:15 | 54 | ფრამი-გრინდავიკი | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | 1.77 |
| 23:15 | 56 | კეფლავიკი-ფილკირი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 55 | ვესტმანაეიარი-ვალური | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |

### ირლანდია

**24 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 63 | კორკი-ლონგფორდი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:45 | 65 | შემროკი-ჰერპსი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 22:45 | 67 | დუბლინი-ბრეი | 1.95 | 3.10 | 3.40 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 22:30 | 62 | უოტერფორდი-შელბურნი | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 22:45 | 66 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2.40 | 2.90 | 2.75 | 1.31 | 1.28 | 1.41 |

### აშშ

**25 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 75 | სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 23:45 | 73 | კანზასი-ჩივასი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 23:45 | 74 | კოლორადო-დალასი | 2.75 | 3.10 | 2.25 | 1.45 | 1.23 | 1.30 |
| 23:45 | 72 | ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი | 1.95 | 3.10 | 3.40 | 1.19 | 1.23 | 1.62 |

**26 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 76 | ჩიკაგო-სოლტ ლეიკი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |

### არგენტინა

**24 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 77 | ბანფილდი-რასინგი | 2.25 | 3.30 | 2.60 | 1.33 | 1.20 | 1.45 |

### ჩილე

**23 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 514 | უნ.ესპანიოლა-უნ.კატოლიკა | 3.10 | 3.20 | 2.00 | 1.57 | 1.21 | 1.23 |

### ლიბერტადორესის თასი

**23 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 157 | ატლეტიკო პრ-ჩივასი | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |

### კალათბურთი. NBA

**23 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 152 | სან ანტონიო-დეტროიტი | 1.40 | 12.00 | 2.80 | 1.25 | 1.00 | 2.27 |

### ჩოგბურთი უიმბლდონი კაცები

**23 ივნისი**

15:00 551 მელცერი-კალატრავა -------------------------- 1.15 -------------------------- 5.30
15:00 547 გასკე-ელსნერი -------------------------- 1.08 -------------------------- 7.50
15:00 548 ჯოკოვიჩი-გარსია ლოპესი -------------------------- 1.65 -------------------------- 2.10
15:00 550 კორია-მალისი -------------------------- 1.60 -------------------------- 2.10








**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 552 | მირნი-როხუსი ო | 1.60 | | 2.20 | | | |
| 15:00 | 554 | ნალბანდიანი-კუჩერა | 1.20 | | 4.20 | | | |
| 15:00 | 558 | ტიპსარევიჩი-ლუ | 1.75 | | 1.85 | | | |
| 15:00 | 546 | არტურსი-პოპი | 1.60 | | 2.20 | | | |
| 15:00 | 559 | ჰენმენი-ტურსუნოვი | 1.15 | | 5.00 | | | |
| 15:00 | 549 | იოჰანსონი ტ-პაველი | 1.25 | | 3.50 | | | |
| 15:00 | 555 | როდიკი-ბრაჩიალი | 1.03 | | 9.50 | | | |
| 15:00 | 556 | ანდრეევი-სანჯინეტი | 1.65 | | 2.10 | | | |
| 15:00 | 557 | სანტორო-ნოვაკი | 1.85 | | 1.75 | | | |
| 15:00 | 560 | შტეპანეკი-მიურეი | 1.30 | | 2.90 | | | |
| 15:00 | 553 | ნადალი-მიულერი | 1.15 | | 5.30 | | | |

ჩოგბურთი უიმბლდონი ქალები

23 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 562 | ზვონარიოვა-პეშკე | 1.30 | | 2.90 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 570 | ხანტუჩოვა-პირი | 1.40 | | 2.60 | | | |
| 15:00 | 576 | სრებოტნიკი-ჩო | 1.65 | | 2.05 | | | |
| 15:00 | 567 | დულკო-პენეტა | 1.45 | | 2.30 | | | |
| 15:00 | 564 | პერსი-ვაკულენკო | 1.15 | | 4.50 | | | |
| 15:00 | 566 | დანილიდუ-გრენვილი | 1.45 | | 2.30 | | | |
| 15:00 | 569 | ვ.უილიამსი-პრატი | 1.05 | | 6.00 | | | |
| 15:00 | 565 | ბონდარენკო-პანოვა | 1.70 | | 1.90 | | | |
| 15:00 | 575 | დეში-დონოხიუ | 1.15 | | 4.50 | | | |
| 15:00 | 574 | მარტინესი-ბრანდი | 1.55 | | 2.25 | | | |
| 15:00 | 573 | რაზანო-ბლეკი | 1.30 | | 2.80 | | | |
| 15:00 | 571 | ბარტოლი-კრეიბასი | 1.40 | | 2.60 | | | |
| 15:00 | 561 | შარაპოვა-კარატანჩევა | 1.06 | | 6.00 | | | |
| 15:00 | 572 | ს.უილიამსი-სანტანჯელო | 1.05 | | 6.50 | | | |
| 15:00 | 563 | პეტროვა-ბელტრეიმი | 1.10 | | 4.80 | | | |
| 15:00 | 568 | ივანოვიჩი-ფორეცი | 1.10 | | 4.50 | | | |

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ახალგაზრდული
საერთაშორისო
სპორტული
თამაშები

МЕЖДУНАРОДНЫЕ
СПОРТИВНЫЕ ИГРЫ
ЮНИОРОВ

# კლასიკოსთა კლასიკური გაკვეთილები

გურანდა გურასაშვილი
*მოსკოვიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“*

**გუშინ** საერთაშორისო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე საქართველოს წარმომადგენლებმა თავიანთი მედლების ყულაბა კიდევ ოთხი ჯილდოთი გაამდიდრეს. ოთხივე მედალი ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა დაიმსახურეს. მათ გუშინწინ მოპოვებულ ერთ ოქროსა და ორ ბრინჯაოს კიდევ ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს ჯილდო შემატეს.

ჩვენი მოჭიდავეებიდან გუშინდელ ბრძოლებში უძლიერესის სახელი მოიპოვა რევაზ ლაშხმა (55კგ), მეორე ადგილებზე გავიდნენ აკაკი ჯოხაძე (84) და ოთარ ბოლქვაძე (მძიმე წონა), ხოლო მარატ სურმანიძე (66) მესამე იყო.

საბოლოოდ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა მეტოქეებს კლასიკური გაკვეთილები ჩაუტარეს. მათ ორი I, ორი II და სამიც III ადგილი დაიკავეს, რითაც გუნდური პირველობა დაიმსახურეს.

მანამდე თავი გამოიჩინეს ჩვენმა სამბისტებმა, რომლებიც ორი I, ერთი II და სამი III ადგილით გუნდურ პირველობაში მეორე ადგილზე გავიდნენ, პირველი კი რუსეთის ნაკრები იყო (ოთხი I და ექვსი II ადგილი).

გუნდურ პირველობაში მეხუთე ადგილზე გავიდნენ ჩვენი ხმლით მოფარიკავეები.

გუშინდელი მონაცემებით საქართველოს დელეგაცია საერთო კომპლექსურ ჩათვლაში ოთხი ოქროს, ამდენივე ვერცხლის და ექვსი ბრინჯაოს მედლით მეოთხე ადგილზეა, ჩვენს წინ კი რუსეთი, უკრაინა და ბელარუსიაა.

სამწუხაროდ, გუშინ საქართველოს კალათბურთელები ორი გამარჯვების მერე რუსეთის გუნდთან 7 ქულით დამარცხდნენ. თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ისინი მსაჯებმა დაამარცხეს. თამაშის შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ სხვა ქვეყანათა წარმომადგენლები და ყველანი ერთხმად აღნიშნავდნენ მსაჯთა მიკერძოებას. ამ შეხვედრის მეორე ტაიმის დასაწყისში ჩვენი ბიჭები ათქულიანი უპირატესობით იგებდნენ, მაგრამ მსაჯთა „წყალობით“ ანგარიში გათანაბრდა, მერე კი მწვავე ბრძოლაში მნიშვნელოვან დაწინაურებას ვერცერთი მხარე ველარ ახერხებდა. შეხვედრის მიწურულს არბიტრებმა მართლაც ყველაფერი იღონეს ჩვენი ნაკრების დასამარცხებლად...

# ახალგაზრდებმა უკრაინული გამოცდა ჩააბარეს
## მარკოიშვილი ნაკრებს ვერ დაეხმარება

**ივლისში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს პრინციპული მატჩები ელის. 8-დან 20 ივლისამდე ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ევროჩემპიონატის B დივიზიონის გუნდები ზედა ეშელონში გადასასვლელად შეებმებიან ერთმანეთს და საამტურნიროდ ქართველმა ახალგაზრდებმა გენერალური რეპეტიცია უკრაინაში გაიარეს. ნუგზარ კანდელაკის გუნდმა კიევში 3 ამხანაგური მატჩი გამართა და ორჯერ დამარცხდა, თუმც მწვრთნელები კიევური ვოიაჟით უკმაყოფილოები სულაც არ არიან.**

**გუშინ** ახალგაზრდული ნაკრების თავკაცობა კაფე „მსოფლიო სპორტში“ შეიკრიბა ჟურნალისტებისთვის უკრაინული შთაბეჭდილებების გასაზიარებლად.

„კიევში სამი ამხანაგური მატჩი გავმართეთ — გვითხრა ნუგზარ კანდელაკმა — უკრაინის ახალგაზრდულ, 1985 წელს დაბადებულთა ნაკრებს ორჯერ გავეჯიბრეთ, 87-იანებს კი ერთხელ შევხვდით. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი მატჩის მოგება მოვახერხეთ, ისიც 87-იანებთან, მაგრამ ამ ეტაპზე ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები ძალიან შეთამაშებული გუნდია, მას გამოცდილებაც აქვს და საკმაოდ სოლიდური მოთამაშეებიც ჰყავს. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ამ გუნდს ერთი თამაში მოვუგეთ. იმ მატჩს ვგულისხმობ, რომელიც ქულით დავთმეთ და რომელშიც მსაჯები მასპინძლებს აშკარად ემხრობოდნენ. ამის დასტურად ალექსანდრე ვოლკოვის სიტყვებიც გამოდგება. მან უკრაინის ნაკრების მოთამაშეებს საყვედურით უთხრა: ამაზე მეტად მსაჯები არსად მოგეხმრობიან და ახლაც ძლივს იგებითო.

— პირველ მატჩში ხომ 9 ქულით დაგამარცხათ მეტოქემ...

— დიახ, 9 ქულით მოგვიგო, მაგრამ ეს პირველი მატჩი გახლდათ და ყველას მივეცი თავის გამოჩენის საშუალება. პირველი ტაიმი მოვიგეთ, ერთხელ 16 ქულითაც ვლიდერობდით. საწყის წუთებში უკრაინელებს შავი დღე ვაყარეთ. პირველი 12 სამქულიანიდან 9 ჩავაგდეთ. მეორე ტაიმიდან მოედანზე სრულიად სხვა შემადგენლობა გავიყვანე და მერე უკრაინელებმა დაგვსეტყვეს სამიანებით. სირენამდე 3 ქულით ადრე მხოლოდ 2 ქულას ვაგებდით, მაგრამ ბოლო წუთებში არ გაგვიმართლა.

— თავიდანვე მოგებაზე რომ ყოფილიყავით ორიენტირებულნი, შეძლებდით უკრაინელების დამარცხებას?

— წინასწარ რამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი გუნდის შეთამაშება იყო და არა მეტოქის დამარცხება. იმ თამაშებში, რომელშიც გამარჯვება აუცილებელია, არც მე და ალბათ არც ერთი სხვა მწვრთნელი ყველა მოთამაშეს არ გაიყვანს მოედანზე, თუ რა თქმა უნდა, აუცილებლობამ არ აიძულა. არ შეიძლება, ყველას თანაბრად წაუვიდეს თამაში და იმიტომ. მე კი ყველას მივეცი თავის გამოჩენის საშუალება.

— მერე რა ქნეს ბიჭებმა, კმაყოფილი ხართ მათი თამაშით?



ნუგზარ კანდელაკი

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, თუმც ვფიქრობ, ამ გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია. თავად ის ფაქტი, რომ ახალმა შემადგენლობამ ტოლ-სწორად ვეთამაშეთ შეკრულ-შეთამაშებულ, 218-220 სანტიმეტრიან უკრაინელებს, ბევრ რამეზე მეტყველებს...

...თანაც ჩვენ გვაკლდა „ოლიმპიაში“ ახლახან გაჩემპიონებული მანუჩარ მარკოიშვილი, რამდენიმე მოთამაშეს კი მსუბუქი ტრავმები აწუხებდათ.

— მარკოიშვილი როდის შემოგიერთდათ?

— სამწუხაროდ, ის ბულგარეთში ვერ დაგვეხმარება. საკმაოდ სერიოზული ფეხის ტრავმა აქვს. სლოვენიის ჩემპიონატში გამაყუჩებლებით ითამაშა გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე და იგივეს ჩვენ ვერ გავაკეთებთ. „ოლიმპიასთან“ მარკოიშვილს კონტრაქტი უმთავრდებოდა და სლოვენიელებსაც რა ანაღვლებდათ, ბოლომდე გამოიყენეს. ჯობს მანუჩარმა ახლა მიხედოს ფეხს და თუ B დივიზიონში გადავალთ, მისი გამოცდილება მერე უფრო დაგვჭირდება.

— შემადგენლობა შერჩეული გყავთ?

— უკრაინაში 14 კაცით ვიყავით, რომელთაგანაც 12 უნდა შეირჩეს. ამას ემატება გიორგი ჩავლეიშვილი, რომელიც უკრაინაში არ გვახლდა, ტრავმა აწუხებდა. გამოდის, რომ 3 მოთამაშეს მოუწევს ამ ეტაპზე ნაკრების მიღმა დარჩენა და ვფიქრობ, ორშაბათისთვის საბოლოო 12-ეულიც შერჩეული გვეყოლება.

**ირაკლი პერტაია**

## NBA PLAY OFF 2005 ფინალი

### სან ანტონიო 3:3 დეტროიტი

21 ივნისი. სან ანტონიო. ესბისი სენთერი. 18 797 მაყურებელი



# ნიღაბახდილი სახე

**სან ანტონიო 86:95 დეტროიტი**
**23:23 24:23 20:25 19:24**

**სან ანტონიო:** პარკერი (15), ჯინობილი (21 ქულა, 10 მოხსნა), ბოუენი (6), დანკანი (21 ქულა, 15 მოხსნა), მუჰამედი (4); ბერი (11), ჰორი (8), უდრიჰი

**დეტროიტი:** ბილაფსი (21), ჰამილტონი (23), პრინსი (13), რ. ვოლესი (16), ბ. ვოლესი (8); მაკდაისი (10), ჰანტერი (4), აროიო

**თამაშამდე** გასახდელში შესულ დეტროიტელებს ნაგვის ურნაზე წარწერა დახვდათ — „სან ანტონიოს“ საჩემპიონო ზეიმი სამშაბათს იგეგმება!“ სწორედ რომ სამშაბათი გახლდათ და სერიაში 3:2 დაწინაურებული „სან ანტონიო სფურზი“ დღეს მოგილებთ ბოლოსო — ეგულისხმა წამწერს. წესით და ლოგიკით, ასეც უნდა მომხდარიყო, „დეტროიტს“ ხომ სამხრეთ ტეხასიდან 1997 წლის შემდეგ გამარჯვება არ წამოეღო, ამ სეზონშიც „ესბისი სენთერში“ სამჯერ მოესწრო წაგება და ახლაც თითქოს ხელის ერთი კვრაღა სჭირდებოდა, უფსკრულში რომ გადაჩეხილიყო.

სისულელეა იმის თქმა, ჩემპიონები მავანი ჭკუამხიარული დამლაგებლის დაუდევარმა წარწერამ გაახელაო, თუმც წინასამატჩო განწყობას კი გვიჩვენებს. ერთი სიტყვით, „დეტროიტს“ უნდა წაეგო და ყველაფერიც აქ დამთავრებულიყო... ნურას უკაცრავად! ეს დღეს ნაღდად არ მოხდებაო, თქვა შარშანდელი ფინალის გმირმა ჩონსი ბილაფსმა და დეტროიტელებს საომრად გაუძღვა.

მშვენიერი მატჩი გამოვიდა, დაძაბულობით თითქმის წინას უტოლდებოდა, რომელიც „სან ანტონიომ“ რობერტ ჰორის წყალობით მოიგო და სერიაში წინ გავიდა. პირველი სამი მეოთხედი მეტოქეები ქულა — ქულაში მიიბრძოდნენ და ლიდერი ლამის ყოველი შეტევის შემდეგ იცვლებოდა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე-მეოთხე 12-წუთეულების მიჯნა, როცა „დეტროიტი“ საბოლოოდ დაწინაურდა და ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა. ბოლო მეოთხედის დაწყებისას სტუმრები 71:67 იგებდნენ, როცა მათმა სათადარიგო ანტონიო მაკდაიესმა ერთ შეტევაში სამი ქულა მოიხვეჭა და თავისი გუნდი 7-ით დააწინაურა. „სფურზმა“ მაინც მოახერხა შვიდქულიანი სხვაობის მინიმუმამდე შემცირება — დამთავრებამდე დაახლოებით 5 წუთით ადრე ჯინობილიმ სამქულიანი გაისროლა და დამხვდურები 81:82 მიაახლოვა მომხვდურებს, მაგრამ მერე სტუმართა შლეგმა ფორვარდმა რაშიდ ვოლესმა გაიბრძოლა, კუთხიდან ორქულიანიც ჩააგდო, სამიანიც და თანაგუნდელის აცილებულსაც დაამატა, შედეგად კი „დეტროიტი“ 9:4 გაიქცა და ბოლო წუთებზე კიდევ უფრო გაიზარდა სხვაობა. რაშიდს სულ 16 ქულა მოუგროვდა. მისი გაქანების მოთამაშისთვის ეს თავისთავად არ არის უსაშველოდ ბევრი, თუმც მას „სან ანტონიოსთვის“ ამდენიც არ ჩაუგდია წინა 5 თამაშში. ისიც სათქმელია, რომ მიმდინარე პლეი ოფში ვოლესი რამდენჯერაც ასცდა 15-ქულიან თამასას, „დეტროიტმა“ იმდენჯერ ულაპარაკოდ მოიგო.

გადასარევად გაისარჯა ჩემპიონთა კიდევ ერთი მექულე რიპ ჰამილტონი, რომელიც თითქმის მთელი სერიის განმავლობაში სისხლისმსმელი მეურვის, ბრიუს ბოუენის ხელებში წვალობდა, ახლა კი თავისი საქმე გადასარევად აკეთა, 23 ქულა ჩააგდო და ამ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებაში ყველაზე მეტქულიანი წილი დაიდო. მეოთხე მეოთხედის ერთ ეპიზოდში ბოუენმა მას ის თავისი ცნობილი ნიღაბიც ჩამოგლიჯა. ჰამილტონმაც ნიღბის გარეშე გააგრძელა თამაში და იქით ჩამოხსნა ნიღაბი „სან ანტონიოს“, რომელიც სერიაში პირველი ორი იოლი გამარჯვების შემდეგ საკუთარი თავის აჩრდილს დაემსგავსა და აგერ, სახლში წაგებაც მოახერხა.

მაშ, მეშვიდე თამაშამდეც მივიდნენ გუნდები, პირველად ბოლო 12 წლის განმავლობაში. სხვათა შორის, დღეს ღამით შეიძლება ისტორიული რამ მოხდეს — აქამდე არასდროს მომხდარა, ფინალურ სერიაში 2:3 ჩამორჩენილ გუნდს სტუმრად ორი თამაში მოეგოს მოწინააღმდეგისთვის და ჩემპიონობა ცხვირწინიდან აეცალოს. როგორ ფიქრობთ, შეძლებს ამას „დეტროიტი“? ხვალ გამთენიისას ვნახავთ.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვამბობთ ბორჯომს, ვგულისხმობთ ბაკურიანსა და თბილისს

**გუშინ თბილისში ერთი ჩვეულებრივი დღე იყო, მაგრამ გუშინდელ დღეს, 64 წლის წინათ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. გაივლის კიდევ 9 წელიწადი და შესაძლოა, გუშინდელი ვითომ ჩვეულებრივი დღე, კვლავ გავიხსენოთ. ეს მაშინ მოხდება, თუ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ვუმასპინძლებთ, საამისო განაცხადს კი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ხელი მოაწერა. ეს მოხდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე სესიაზე, რომელიც სეოკ-ის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში ჩატარდა.**

**ასე რომ**, გუშინ ჩვენთვის ისტორიული დღე იყო. და რაკი ასეთად ჩაითვლება, ისტორიისთვის შემოსანახად შესაბამისი ფაქტებიც უნდა აღვნიშნოთ და ვთქვათ, რომ სესიას სეოკ-ის წევრი 122 წევრიდან 109 ესწრებოდა. ბორჯომში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებას ასცხრავემ მხარი დაუჭირა. ყოველ შემთხვევაში, პროტესტი ხმამაღლა არავის გამოუთქვამს და არც თავი შეუკავებია ვინმეს.

ერთი სიტყვით, სესიამ ერთხმად დაადგინა:

„მხარი დაეჭიროს ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელობის წინადადებას 2014 წლის 7-22 თებერვალს ბორჯომში ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშების ჩატარების შესახებ."

დადგენილებაში ესეც ჩაიწერა:

„მიღებული იქნას ცნობად, რომ საქართველოში (ბორჯომი) ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეის ავტორები გამოთქვამენ მზადყოფნას და იძლევიან გარანტიას, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ყველა ეტაპზე და თამაშების ჩატარების შემთხვევაში სრულად იქნება დაცული ოლიმპიური ქარტიის, სოკ-ის სპორტის ეთიკის კოდექსი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციების მოთხოვნები და რეკომენდაციები."

მართალია, ოფიციალური დოკუმენტებით იდეის ავტორი ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელობაა, მაგრამ ცხადია, ამას გულუბრყვილო ადამიანიც არ დაიჯერებს. უბრალოდ, სოკ-ის წეს-კანონების მიხედვით საჭირო ამა თუ იმ ქალაქმა — და არა ქვეყანამ — უნდა წამოაყენოს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი, მას კი მხარი დაუჭიროს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და ქვეყნის ხელისუფლებამ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბორჯომში ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის იდეის ავტორი თავად სეოკ-ის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილია. ოღონდაც, როცა ვამბობთ ბორჯომს, ვგულისხმობთ ბაკურიანსა და თბილისს.

ჩანაფიქრის მიხედვით, როგორც სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა მოგვახსენა, ბაკურიანმა უნდა უმასპინძლოს ღია ცის ქვეშ გასამართ შვიდ შეჯიბრებას, ხოლო თბილისმა — ჭერქვეშა ხუთ ასპარეზობას.

მსგავსი გეგმა მიუღებელი სულაც არაა. ამას მოწმობს ბოლო წლებში გამართული ზამთრის ოლიმპიური თამაშები. თუნდაც ნაგანოს მაგალითი გავიხსენოთ. იქ აკრედიტებული ჟურნალისტები უშუალოდ ნაგანოდან დილაუთენია, დაახლოებით 120-130 კილომეტრით






მიხეილ სააკაშვილმა და გოგი თოფაძემ ხელი ხელს დაჰკრეს




დაშორებულ მოთხილამურეთა შეჯიბრებებზე, ვთქვათ აღმოსავლეთით რომ მივემზგავრებოდით, მეორე დღეს იმავე მანძილზე ახლა უკვე დასავლეთით მიგვეჩქარებოდა. ასე რომ, გამოდის, ერთი შეჯიბრების ადგილი მეორისგან ლამის 300 კილომეტრით იყო დაშორებული. თბილის-ბორჯომ-ბაკურიანის შემთხვევაში კი გაცილებით კომპაქტური ოლიმპიადა გამოდის, რაც მის ღირსებას ამაღლებს. ბაკურიანის უდიდესი პლუსია მისი თოვლის ხარისხი, რითაც უცხოელი ექსპერტები აღფრთოვანებულნი არიან.

როგორც ემზარ ზენაიშვილმა შეგვახსენა, 2014 წლის ზამთრის თამაშებზე უნდა გათამაშდეს სავარაუდოდ მედლების 84 კომპლექტი, რომლებსაც 85 ქვეყნის 2500 სპორტსმენი შეეცილება ერთმანეთს. შეჯიბრებებს, სავარაუდოდ მოემსახურება 700 მსაჯი, 20 000 მოხალისე და გააშუქებს 10 000-ზე მეტი ჟურნალისტი. საქართველოს ეწვევა ოლიმპიური ოჯახის 1 500 წევრი და ათასობით ტურისტი...

*გოგი თოფაძე, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი:*

*— ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლოდ უფლების მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა მოგვიწევს. ბაკურიანი რელიეფური და კლიმატური პირობებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ამას ადასტურებენ საფრანგეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ექსპერტები. ცხადია, მხოლოდ ბუნებრივი პირობები საკმარისი არაა, საჭიროა დიდძალი კაპიტალდაბანდება. იქნებ ჩვენი თხოვნა 2014 წლისთვის არ დააკმაყოფილონ, მაგრამ თუ წინ ვიყურებით, უნდა ვცადოთ. მაგალითად, სამხრეთ კორეა მესამედ ცდილობს ზამთრის თამაშების ხელში ჩაგდებას.*

*გოკა გაბაშვილი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი:*

*— მივიღებთ თუ არა ოლიმპიურ თამაშებს, მისი მზადებისთვის ყველა თვალსაზრისით მოგებულნი დავრჩებით. ეს სასარგებლო იქნება ქვეყნის განვითარებისთვის, მისი იმიჯისთვის...*

***მიხეილ სააკაშვილი**, საქართველოს პრეზიდენტი:*

*— საქართველო უნდა გახდეს სპორტული ქვეყანა! ჩვენ რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პრეტენზიას ვაცხადებთ, ამას უდიდესი სიმბოლური, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამით ჩვენ ვაცხადებთ, რომ გვსურს კონფლიქტების მშვიდობიანი, უსისხლო მოგვარება.*

*მინდა, რომ ყველამ ერთად გაბედული ნაბიჯებით ვიაროთ, რომ მიზანს მივაღწიოთ.*

***ბადრი პატარკაციშვილი**, სეოკ-ის პრეზიდენტი:*

*— ბაკურიანის შესასწავლად უცხოელ ექსპერტთა 14 ჯგუფი ჩამოვიყვანეთ. მათი დასკვნით ბაკურიანი ის ადგილია, სადაც ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩატარდება.*

*ბედნიერი ვარ იმით, რაც დღეს აქ ხდება. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ გვაქვს ზამთრის თამაშების მასპინძლობის ამბიცია. მაგრამ ეს არ არის უბრალოდ ამბიცია... აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ გამარჯვებაში, მაგრამ არაფერი გამოვა, თუ თქვენც არ იქნებით დარწმუნებული.*

*ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლა იქნება ერის კონსოლიდაციის სტიმული. დარწმუნებული ვარ, მხნედ დავაბრუნებთ იმ სიმღერას, რომელსაც ბავშვობაში ვმღეროდით, „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ"... ცოტაც დაველოდოთ და ამას კვლავ ვიმღერებთ...*

ამ სიტყვების მერე მასპინძელმა, ყველა კარგი საქმის წამოწყებას აღნიშვნა უნდაო და ყველანი სარდაფში გვიხმო...

და, დაიძრა საოლიმპიადო მატარებელიც, რომლის პირველ ვაგონსაც ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ განაცხადი მიაქვს. განაცხადს თან მიჰყვება მის მისაღებად საჭირო 150 000 დოლარი. ოთხი თვის მერე, როცა განაცხადს განიხილავენ, იმედია, ბორჯომს „აპლიკანტის" ანუ განმცხადებლის სტატუსს მიანიჭებენ, რისთვისაც ჩვენი მეორე ვაგონიც მზადაა, რომელიც 500 000 დოლარს წაიღებს, მერე კი...

მერე, პირდაპირ თუ ირიბად, დანახარჯი ორმაგად და სამმაგად დაგვიბრუნდება.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**

## უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

# ჭაბუკები უიმბლდონზე


AFP ლონდონიდან

რიშარ გასკე


AFP ლონდონიდან

რაფაელ ნადალი


AFP ლონდონიდან

ენდი მიურეი

**ვიშ,** რა კარგია, უიმბლდონზე ჭაბუკთა მორიგი ლაღობის მოწმენი რომ ვართ.

საფრანგეთის წლევანდელი ღია პირველობის ჩემპიონ რაფაელ ნადალსა და გასულ კვირას ნოტინგემში თავისი პირველი საეიტიპიო ტიტულის მომხვეჭ რიშარ გასკეზე მოგახსენებთ — თანამედროვე ჩოგბურთის ამ ახლახანს გაცხრამეტწლისებულ ორ ტიტანზე, ვინაც თავიანთი საპირველწრეო მატჩები დამაჯერებლად მოაყომარეს და დიდი შანსია, მეორე წრის გავაკების შემთხვევაში ისევ ერთმანეთს დასცხონ.

ვინს სპადიას 6:4 6:3 6:0 ძლევის შემდეგ ნადალი, ბუნებრივია, აღტყინებული იყო: „ჩემი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ — ამბობდა ის — მიხარია, ბალახზე ასე რიგიანად რომ ვჩოგნაობ. ეს საფარი ჰალალად მომწონს და იმედი მაქვს, ერთ დღეს იმის გაკეთებასაც შევძლებ, რაც მანოლო სანტანას გაუკეთებია."

ცნობისთვის: სანტანა ერთადერთი ესპანელია, უიმბლდონზე რომ გაპირველებულა. მან ეს 1966 წელს შეძლო.

ნადალის დარად კმაყოფილობდა რიშარ გასკეც, ვინაც 6:3 3:6 6:3 6:2 აჯობა გერმანელ ფილიპ კოლშრაიბერს:

„დღეს მართლაც კარგა ვითამაშე — თქვა მან — მწვრთნელთან ერთად ბევრი ვემზადე საიმისოდ, რათა საბალახო ტაქტიკა შემემუშავებინა და ვინძლო თქვენც შეამჩნევდით, რომ გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია."

შორეულ წარსულში ფრანგებს უიმბლდონზე დიდი წარმატებები ჰქონდათ. 20-იან წლებში აქ ლიანგად გრემიტობდნენ ჟან ბოროტრა, ანრი კოშე და რენე ლაკოსტი — ვაჟკაცები, რომელთაც მთელი მერმინდელი ფრანგული ჩოგბურთი ეყრდნობა. მაგრამ ივონ პეტრას 1946 წლის გამარჯვების შემდეგ უიმბლდონურ განსხვავებულს ლა მანშის ყურე ერთხელაც აღარ გაუვლია. ფრანგებს სრული უფლება აქვთ იმედოვნებდნენ, რომ ადრე თუ გვიან ეს ნიჭიერი ყმაწვილი მათ ამ ოთხმოცწლოვან ნავს გაუტეხავს.

კიდევ ერთი ყმაწვილი, ვინაც ნადალსა და გასკეს აუბა ჩოგანი, 18 წლის ბრიტანელი ენდი მიურეია. გლაზგოში დაბადებულმა ამ სქოთმა ნინველამ 6:4 6:2 6:2 სძლია შვეიცარიელ გეორგ ბასტლს და ახლა მე-14 ნომრად განთესილ რადეკ შტეპანეკს დაეჯახება.

საერთოდ — უიმბლდონი ყოველთვის ის ალაგი იყო, იმედისმომცემ ჭაბუკებს შუშპარა ბურთაობისთვის რომ ალაგზნებდა. უფრო ძველი მოგონებები რომ გვერდზე გადავდოთ, უმალ ბიორნ ბორგს ვიხსენებ. 1972-ში მან 16 წლისამ იუნიორთა ტურნირი მოიგო. მომდევნო წელს კი — და იმ წელს იუგოსლაველი ნიკი პილიჩის დისკვალიფიკაციით (პილიჩმა დევისთასზე თამაში იუარა) აღშფოთებულმა 80-მდე მოთამაშემ უიმბლდონს ბოიკოტი გამოუცხადა — ბორგმა მეოთხედ[illegible] ლი ხუთსეტიანი მატჩი [illegible] ტანელ[illegible] ტენისის წინააღმდეგ ეს მხოლოდ პრელუდია იყო იმ ხუთწლიანი (1976-80) პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც ბორგი უიმბლდონზე შეუცილებლად დომინირებდა.

ჯონ მაკინროი მეორე იყო, ვინაც სიდიადეზე პირველი განაცხადი იუნიორობისას ასევე უიმბლდონზე გააკეთა. 1977 წელს მან საფრანგეთის ღია პირველობის იუნიორთა შეჯიბრი მოიგო და იმავის გამეორებას უიმბლდონზეც აპირებდა. საიმისოდ, რათა ბალახს გაჩვეოდა, მან ძირითადი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშა და ყველას გასაოცრად ისე იბურთავა, რომ მერე ნახევარფინალსაც კი უწია, სადაც ჯიმი კონორსს ოთხი ოფლიანი სეტი ეჭიდავა. იმ ჯერზე მან 8 საერთეულო მატჩი მოიგო, რაიც არც მანამდე და არც მერე სხვას არავის გამოსვლია.

ასეთი მაგალითების ფონზე საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ასეთივე წარმატებული საუიმბლდონო კარიერის აგებას ნადალი, გასკე და მიურეი, ჭაბუკები, რომელნიც საამისოდ თითქოს ტალანტსაც საკმარისად მოიძევენ და ჯიგარსაც.

**ჯონ ბარეტი**
**ბიბისის საჩოგბურთო კომენტატორი**

### მეორე წრე

#### კაცები

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:4 6:4 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (3, ავსტრალია) — იან ჰენრიხი (ჩეხეთი) 6:2 7:5 3:6 6:3; **მარატ საფინი** (5, რუსეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (7:4) 7:6 (7:4) 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (8, რუსეთი) 6:7 (4:7) 1:2 *დავიდენკომ შეწყვიტა*; **ფერნანდო გონსალესი** (21, ჩილე) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 6:4 7:6 (8:6) 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (23, ესპანეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4 3:6 4:6 6:3 6:3; **ტეილორ დენტი** (24, აშშ) — კევინ კიმი (აშშ) 6:3 6:4 6:4; **ნიკოლას კიფერი** (25, გერმანია) — ალესიო დი მაურო (იტალია) 6:3 7:5 6:3; **ფელისიანო ლოპესი** (26, ესპანეთი) — დევიდ შერვუდი (ბრიტანეთი) 6:2 6:4 6:2; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — ნიკოლას მასუ (29, ჩილე) 6:3 4:6 7:6 (7:5) 7:6 (7:0)

#### ქალები

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ჯემი ჯეკსონი (აშშ) 6:0 6:3; **ამელი მორეზმო** (3, საფრანგეთი) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:1 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:4 6:7 (4:7) 6:4; **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — საბინე კლაშკა (გერმანია) 2:6 6:3 8:6; **ანასტასია მისკინა** (9, რუსეთი) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:4 6:3; **ელენა ლიხოვცევა** (13, რუსეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:3 7:6 (7:4); **კიმ კლაისტერსი** (15, ბელგია) — მარისა ირვინი (აშშ) 6:1 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (17, სდჩ) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:3 7:5; **სილვია ფარინა ელია** (22, იტალია) — მარია ვენტო-კაპჩი (ვენესუელა) 6:1 5:7 6:3

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# რატომ წააგო ჟინჟამ

**რაპიდა** უიმბლდონის საპირველწრეო ამბებიდან ყველაზე მოულოდნელი ყოფილი (და ვირტუალური) პირველოსნის ჟუსტინ ენენ-არდენის მარცხი გამოდგა, საჩოგბურთო საქმეებში ჩახედულ მილეთში იშვა ლოგიკური კითხვა ამ მარცხის მიზეზებთან დაკავშირებით. ეგ მით უფრო, რომ ჭინკა ბელგიელი შარშანდელი ვირუსიანობის შემდეგ წლეულს კორტზე ფანდაგრასტად დაბრუნდა და ლონდონში ჩასულმა თან 24-მოგებიანი შლეიფიც ჩაიყოლა.

რაღა ბევრი გავაიმასვქნათ, ყველაფერში დამნაშავე თურმე ჟუსტინის ნატკენი მყესი ყოფილა, რომლის კიდევ უფრო არგამიზეზების გამოც ამქრის ოდინდელმა პირველოსანმა უიმბლდონისთვის მოსათელ ტურნირზე გამოსვლაც იუარა და ლონდონურ სეფებალახზე მოუმზადებლად გასვლა არჩია.

მოუმზადებლობას კი ხეირი არავისთვის დაუყრია და სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ უკიდურესი გაძალიანების მიუხედავად 23 წლის ვალონელმა ვერაფერი გააწყო ბალახისმოყვარულ ბერძენ ელენი დანილიდუსთან (2001 წელს მას იქ მეოთხე წრემდეც მიუღწევია) და თავისი წარუმატებელი უიმბლდონური ოდისეა კიდევ ერთი ჯანდაგი გამოსვლით დაამძიმა.

„ეს ჩოგბურთია, ეს ცხოვრებაა — ამბობდა ამ მარცხის შემდეგ ჟუსტინი — ყველაფრის მოგება არ გამოდის, რაც აქამდე არ მომიგია, იმის მოგებას მოგვიანებით ვეცდები."

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ დიდი მუზარადის ტურნირებზე ოთხგზის ნაჩემპიონარ ჟუსტინს აქამდე სწორედ უიმბლდონური განსხვავებულიდან არ შეესვა. იმედია, ქალთა მოქმედი ამქრის ეს დასტურ ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი ამ დეფიციტის აღმოფხვრას მოგვიანებით მართლაც უჭოჭმანოდ მოახერხებს.


AFP ლონდონიდან

ჟუსტინ ენენ-არდენი



ივო კარლოვიჩი

# რაფა და ივო

**პირველი** წრის მეორე განყოფილებიდან გვსურს, კიდევ ორი კაცმეჩოგნის შესახებაც წავისაუბროთ. მართალია, მისტერ ბენეტი თავის ხვადაგ ანალიზში რაფაელ ნადალსაც მოიხსენიებს, მაგრამ მასზედ ორიოდ სიტყვის თქმა ჩვენც გვსურს. ამის მერე კი რამე კორტის დონიდან ორი მეტრისა და რვა სანტიმეტრის ამთვლელ ხორვატ ივო კარლოვიჩზეც უნდა ითქვას.

მაშ ასე — ბევრი რომ ფიქრობდა, თიხნარის ფასკუნჯი და წლეულს ამ საფარზე (როლანგაროსობის ჩათვლით) ექვსი ტიტულის მომხვეჭი რაფაელ ნადალი ბალახზე ვერაფერს გააწყობდა, ამათ ვარაუდები ნაცარში ჩაუვარდათ. რაკილა ბოლო კვირების განმავლობაში 19 წლის ვუნდერმუჩაჩომ კაცურად გამოსვენება და თავისი საარაკო მუხტის აღდგენა მოასწრო, ლონდონურ კოინდარზეც ისევე ზორბად და ჭექაქუხილად აგლაჯუნა, როგორც რომ მთელი მანამდელი სეზონის მიმდინარეობისას. თუმც მის მეტოქე ვინს სპადიას ზურგის პრობლემები აწუხებდა, ნადალის მოუღლელ ჯლიგინსა და ყუმბარმტყორცნელობას ეს მაინც ვერ აკნინებს — გვენდეთ, ეს ბიჭი თავის ჭანგებს აქაც უსათუოდ გამოაჩენს.

რაც შეეხება კარლოვიჩს, ამ ვირგლასგან ჩვენ სატურნირო თვალსაზრისით უფრო მეტად შეღრმავებას და რეიტინგოსან ელიტასთან შეპაექრებას ველოდით, მაგრამ — თურმე სადა ბანაობ. ივომ ტურნირისთვის სარეკორდო 51 ეისი კი დაატყლაშუნა, მაგრამ ეგრეც ვერაფერი გააწყო საერთოდაც უცნობ იტალიელ დანიელე ბრაჩალისგან, რომელიც რეიტინგსიის 120-ე საფეხურზე დგას და აქამდე ჩვენს კლავიატურაზე წამლად ერთხელაც არ აკრეფილა.

კარლოვიჩის მარცხი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მხოლოდ მეორე სართულიდან ბრახუნმოწოდება უიმბლდონზე არაფერს ნიშნავს — ამას საჩოგბურთო ვინეგრეტის სხვა რამ ინგრედიენტებიც უნდა ახლდეს, თორემ ისე კაცს არც ჩაკიდული გადაგივა და არც ჩაუკიდავი.

# ადამიანი მანქანის წინააღმდეგ

**რვა** წლის წინ მაშინდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა გარი კასპაროვმა კომპიუტერ DEEP BLUE-სთან წააგო და პლანეტა შეაშფოთა. გაჩნდა კითხვა, მაშ, ვინ მოუგებს ამ კიბერნეტიკულ მანქანას, თუ ეს მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატმა ვერ შეძლოო. თუმც კასპაროვის მარცხს მოჭადრაკეები დიდად არ შეუშინებია და მოაზროვნე მანქანას უკვე მრავალი დიდოსტატი იწვევს დუელში.

ამჟამად კიბერმანქანებს სამი მოჭადრაკე ეპაექრება.

ორი დღის წინ ნიუ იორკში, ტაიმ სკვერზე მდებარე ტელეკომპანია „ეი-ბი-სის“ სტუდიაში ფიდეს მოქმედი ჩემპიონი უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი კომპანია ACCOONA-ს მიერ გამოშვებულ საჭადრაკო პროგრამას შეეჭიდა. ACCOONA კი ინტერნეტში ერთ-ერთი უმსხვილესი სამძებრო სისტემის მფლობელია და კომპიუტერიც საკმაოდ ჭკვიანი ჰყავს.

ამავე დღეს ლონდონში უემბლის საკონფერენციო ცენტრში ფიდეს რეიტინგის მეექვსე ნომერი, ინგლისელი მაიკლ ადამსი სუპერკომპიუტერ HYDRA-ს დაუპირისპირდა. ეს კომპიუტერი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში კომპანია PAL GROUP-ის მიერაა შექმნილი.

კომპიუტერთან მესამე მებრძოლი ესტონელი იან ელვესტია. მან ივნისის დასაწყისში დაიწყო ხელოვნურ ტვინთან ბრძოლა. ესტონელი რეიტინგში ამჟამად 103-ეა, თუმც იყო დრო, საუკეთესო ათეულშიც ტრიალებდა. ელვესტი საჭადრაკო პროგრამა ZAPPA-ს ხვდება და მატჩი ნიუ იორკში, მანჰეტენში ESTONIAN HOUSE-ში მიმდინარეობს.

ყველა მოჭადრაკე სოლიდურ ფულად პრემიებს მიიღებს, თუმც, როგორც ისინი აცხადებენ, კომპიუტერთან მხოლოდ ამის გამო არ სხდებიან.



მაიკლ ადამსი



რუსტამ კასიმჯანოვი

მაგალითად, პლანეტის მოქმედმა ჩემპიონი კასიმჯანოვი შარშან რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა და გვარიანი თანხაც იშოვა. როგორც ჩემპიონი ამბობს, მანქანასთან საბრძოლველადაც კარგ თანხას მიიღებს, თუმც სათამაშოდ მხოლოდ იმიტომ ჯდება, რომ პროპაგანდა გაუწიოს ჭადრაკს.

თამაშისთვის 500 დოლარს მიიღებს ელვესტი და კიდევ დამატებით 1500-სს თუ მატჩს მოიგებს. ყაიმის შემთხვევაში იგი 750-ით დაჯილდოვდება.

„ამ თამაშზე იმიტომ დავთანხმდი, რომ ჭადრაკი უფრო პოპულარული გავხადო და თანაც ახლა ამისთვის თავისუფალი დროც გამოვძებნე“ — განაცხადა ელვესტმა.

ადამსი კი, რომელიც დიდ ტურნირებში ხშირად ასპარეზობს, მათზე მეტ თანხას მიიღებს. ყოველ მოგებულ პარტიაზე იგი 25 ათასს აიღებს, ყაიმზე — 10 ათასს. თუ ინგლისელმა ექვსივე პარტია მოიგო, იგი 150 ათასით გამდიდრდება, ხოლო თუ ყველა წააგო, ცენტსაც ველარ მიიღებს.

„მინდა, ყველას ვაჩვენო, რომ HYDRA-სთან თამაში შეიძლება და მასაც გააჩნია სისუსტეები, რომლის გამოყენებაც შეიძლება“ — აცხადებს ალბიონელი დიდოსტატი.

ახლა კი ადამიანისა და მანქანის გახმაურებულ დაპირისპირებებს გაგაცნობთ.

1997 წელს კასპაროვი DEEP BLUES-ს შეხვდა.

2002 წელს რუსი ვლადიმერ კრამნიკი, რომელმაც კასპაროვს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული აართვა, DEEP FRITZ-ს დაეჯახა და მათი რვამატჩიანი დაპირისპირება ყაიმით დასრულდა.

2003 წელს კასპაროვი, რომელიც კვლავ პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკედ ითვლებოდა, ორ პროგრამას — DEEP FRITZ-ს და X3D FRITZ-ს ეთამაშა. ორივე შეხლა ყაიმით დასრულდა. იმავე წელს ფიდეს რეიტინგით მე-12 ნომერმა რუსმა ევგენი ბარეევმა სერიულ პროგრამა HIARCS-ს დაუსრულა მატჩი ყაიმით.

დღესდღეობით პროგრამისტები კვლავაც მუშაობენ კომპიუტერის გასაძლიერებლად და მანქანებიც უფრო ჭკვიანები და სწრაფები ხდებიან, რაც თანამედროვე მოჭადრაკეებს საკმაოდ ურთულებს საქმეს. შარშანდელ ოქტომბერში ესპანურ ბილბაოში სამი დიდოსტატი სამ პროგრამას დაუპირისპირდა. ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, უკრაინელები რუსლან პონომარიოვი და სერგეი კარიაკინი HYDRA-ს, DEEP JUNIORS-ს და სერიულ FRITZ-ს ეთამაშნენ. საბოლოოდ HYDRA-მ და FTITZ-მა ოთხი შესაძლებლობიდან 3,5 ქულა დააგროვეს, DEEP JUNIOR-მა ტოპალოვთან ერთად 1,5. ხოლო უკრაინელებმა — ერთი. შედეგი მართლაც დამაფიქრებელია. მაშ, რატომღა ცდილობენ მოჭადრაკეები კვლავაც ქარის წისქვილებთან ბრძოლას. მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონებმა სირბილში კარგა ხნის წინ თქვეს უარი ავტომობილებთან შეჯიბრზე, ხოლო ბოლოდროინდელი მატჩები აშკარად გვიჩვენებს, რომ კომპიუტერებთან ჭიდილი ჩვენთვის უკვე სავალალო ხდება.

მიმდინარე კომპიუტერული ოპებიდან ყველაზე [illegible] კასიმჯანოვი აღმოჩნდა. ადამსსა და ელვესტს კომპიუტერთან [illegible]ანი დროის კონტროლით მოუწევთ ბრძოლა, კასიმჯანოვს კი 60-წუთიანით და ყოველი სვლის შემდეგ მოსაფიქრებლად 10 წამი დაემატება.

როგორც ექსპერტები და მოჭადრაკეები ამბობენ, რაც უფრო პატარაა სათამაშო დრო, მით მეტი უპირატესობა აქვს კომპიუტერს. მას შეუძლია, წამებში ასეულ მილიონებით სვლა განიხილოს, როცა ამ დროს ადამიანის ტვინი მხოლოდ რამდენიმე კომბინაციის დამუშავებას ასწრებს.

მიუხედავად ამისა, მოჭადრაკეები მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ადამსის აზრით, HYDRA-სთან იოლი გასეირნება არ ელის.

კასპაროვი ჩემზე ძლიერად თამაშობს, HYDRA კი DEEP BLUE-ზე ძლიერია. ამიტომაც, თუ წავაგე, ეს ჩემთვის დიდი ტრაგედია არ იქნება, თუმც გპირდებით, რომ 0:6 არ წავაგებ.“

უფრო იმედიანადაა ელვესტი:

„ვფიქრობ, რომ ოთხივე პარტიას ყაიმით დავასრულებ. არა მგონია, ყველა წავაგო.“

ცხვირჩამოშვებული არც კასიმჯანოვია:

„კომპიუტერსა და ადამიანს შორის განსხვავება არც ისე დიდია. არ არის სწორი, როცა მათ ავტომობილსა და მორბენალ კაცს ადარებენ. რაც უნდა იყოს მატჩის შედეგი, კომპიუტერებთან დაპირისპირება კვლავაც უნდა გაგრძელდეს. სპორტში შედეგი არ არის მთავარი. სპორტი ადამიანის შინაგანი განვითარებაა“ — ამბობს ფიდეს ჩემპიონი.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ათეული ოთხეულზე დაირაზმა

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

**კიშინიოვი. მოლდოვა.** 10 - 25 ივნისი

**X ტური**

| | | |
|---|---|---|
| ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) | 0,5:0,5 | მაკა ფურცელაძე (საქართველო) |
| ზაოგინ პენგი (ჰოლანდია) | 1:0 | ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) |
| ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 0:1 | ირინა ვასილევიჩი (რუსეთი) |
| მარტა ზიელინსკა (პოლონეთი) | 1:0 | სოფიო გვეტაძე (საქართველო) |
| ნატაშა ბოიკოვიჩი (სერბია-ჩერნოგორია) | 0:1 | ნინო ხურციძე (საქართველო) |
| მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 1:0 | დარია ჩაროჩკინა (რუსეთი) |
| თამარ წერეთელი (საქართველო) | 0,5:0,5 | იულია დემინა (რუსეთი) |
| ანა მათნაძე (საქართველო) | 1:0 | ლილიტ გალოიანი (სომხეთი) |



მაკა ფურცელაძე

**მეათე** ტურში პირველ დაფაზე ჩემპიონატის რუსი ლიდერები ელენა ზაიაცი და ნადეჟდა კოსინცევა დაეჯახნენ ერთმანეთს. გამარჯვებული საკმაოდ დიდ ნაბიჯს დგამდა ჩემპიონობისკენ, თუმც მათ ყაიმით დაასრულეს შეხვედრა და კიდევ ორი მონაწილე შეემატა პირველი ადგილისთვის მებრძოლთ — უკრაინელი კატერინ ლაჰნო და ჰოლანდიელი ზაოგინ პენგი. ოთხივე მანდილოსანს 7,5 ქულა აქვს და უახლოეს ათ მდევარს 0,5 ქულით უსწრებს. ამ მდევრებს შორისაა ორი ჩვენებურიც — ქეთევან არახამია-გრანტი და მაკა ფურცელაძე. მეათე ტურში სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ქულა ძმურად გაიყვეს და ადგილებიც შეინარჩუნეს.

არახამია-გრანტმა e4-ით დაიწყო შეხვედრა და მეოთხე სვლაზე პაიკი გაუცვალა თანამემამულეს. თეთრებმა h ხაზზე მდგარი პაიკი დაძრეს მეტოქისკენ და დამხმარედ ლაზიერ-მხედრები გააყოლეს. დებიუტში იერიშების გაკეთება არც ერთმა იჩქარა. მათ ჯერ საკუთარ ტერიტორიას მიხედეს, ჯარის მობილიზებას შეუდგნენ და დარტყმები შემდეგ წამოიწყეს.

არახამია-გრანტი c დიაგონალიდან პაიკის გაყვანას შეუდგა, 26-ე სვლაზე ჩასათვლელ ხაზთან მიაახლოვა და მარცხნიდან შეუტია შავ მეფეს. მდგომარეობის გამოსასწორებლად მაკამ გაცვლებს მიმართა, შეტაკებებს კი საკმაო ფიგურა შეეწირა და მეტოქეებმაც 54-ე სვლაზე ზავი გამოაცხადეს.

მე-40 სვლაზე იმარჯვა ნინო ხურციძემ. ქართველმა მოჭადრაკემ ბოიკოვიჩთან თამაში სიცილიური დაცვით არჩია, თავიდანვე ფლანგის გაძლიერებას შეუდგა და მტრის დასახვედრად მოემზადა. ბოიკოვიჩმა ხელმწიფის ფლანგიდან დაქოქა პაიკები, ქართველმა კი საპასუხოდ ლაზიერის ფლანგიდან ეტლით დაარტყა და წყობა აუშალა თეთრებს. სერბმა შავი ხელმწიფე ამოილო მიზანში და სახიფათოდ შეუტია, თუმც ვერ აჯობა და ალამი დაუშვა.

**ლაშა გეგეჭკორი**

## ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი

**ვარშავა. პოლონეთი.** 17 ივნისი - 3 ივლისი

**IV ტური**

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |
| მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | არტიომ ტიმოფეევი (რუსეთი) |
| იგორ ნატაფი (საფრანგეთი) | 0,5:0,5 | ბადურ ჯობავა (საქართველო) |
| ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) | 1:0 | ზვიად იზორია (საქართველო) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 1:0 | არკადიუშ ლეჰიარტი (პოლონეთი) |
| დავით მაღალაშვილი (საქართველო) | 1:0 | ბორის ესენი (პოლონეთი) |
| ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 1:0 | აგნიეშკა მატრასი (პოლონეთი) |

# ფანცულაიამ ვარშავაში მეექვსე გაარჩერა

**ჩემპიონატს** 3,5 ქულით ერთბაშად 10 დიდოსტატი ლიდერობს და, სამწუხაროდ, მათ შორის ერთიც არ არის ქართველი. ჩვენი ვაჟებიდან საუკეთესო შედეგი 19 წლის ლევან ფანცულაიას აქვს. იგი ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერთა ჯგუფს და დამატებითი მაჩვენებლებით ცხრილში მე-17 პოზიციაზეა.

მეოთხე ტურში მძიმე ბრძოლა გადაიტანა ლევანმა. იგი ჩემპიონატის მე-6 ნომერ რუს ალექსანდრ მოტილევს დაუპირისპირდა და დაძაბული შეხვედრა ყაიმით დასრულდა. მოულოდნელი იყო ზვიად იზორიას მარცხი 68 წლის უნგრელ ლაიოშ პორტიშთან. ქართველმა დიდოსტატმა ახლახან ამერიკაში ძლიერი ტურნირი მოიგო და მისგან ასეთ სუსტ თამაშს არავინ ელოდა.

შედარებით გაიუმჯობესა მდგომარეობა საქართველოს ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა. მან თეთრი ფიგურებით მასპინძელ მანდილოსან აგნიეშკა მატრას მოუგო, 1,5 ქულა დააგროვა და რამდენიმე საფეხურით აინაცვლა.

**ლაშა გეგეჭკორი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# აი, ჯერონიმო

აი, წითელი მზე, სიდნეის ზღვა და ზღვაზე თეთრი აფრები — ნავს სახელად „ჯერონიმო“ ჰქვია და ავსტრალიის შემოცურვაში რეკორდის დამყარებას აპირებს. მას საფრანგეთის ყველაზე პოპულარული მეზღვაური ოლივიე დე კერსუსონი მართავს. „ჯერონიმოს“ პარამეტრებია სიგრძეში 34, სიგანეში 22 მეტრი. სამ კვირაში მან, წესით, 6500 საზღვაო მილი უნდა გაცუროს, რაც არ გეგონოთ ზღაპრები...




# მაღლა მზე, დაბლა კორტი

ლონდონში უიმბლდონი გახურებულა, რასაც მარცხენა ფოტოდან კიდევ უფრო გახურებული ინგლისელი ფანი გვიდასტურებს თავისი მზის სათვალითა და რამე-რუმეებით. იგი ტიმ ჰენმანის იარკო ნიემინენთან თამაშს უყურებს. მარჯვენა ფოტოზე კი ჩანთაა. ვისი? ზედ მიბმული საბუთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვასი, რომელიც კორტზე გასახურებლადაა გასული.



AFP ლონდონიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ხოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე ლევან კელაურაძე ოთარ მაღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge